# საარბიტრო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 4 ოქტომბერი 2006 №229 (2851) ფასი 50 თეთრი





# გუშინდელი ზღაპარი: გერმანიამ დაისვენა, საქართველომ იმუშავა



კოტა ინასარიძის ფოტოები



**კოტა ინასარიძე როსტოკიდან**

ქართველი ხართ? — გამიღიმა ჰამბურგის აეროპორტის მებაჟემ და უპრობლემოდ გამატარა. მას მხარი მისმა კოლეგებმაც აუბეს, რა თქმა უნდა, ფეხბურთის გამო ხართ ჩამოსული და იცოდეთ, ამ თამაშს ჩვენც დიდი ინტერესით ველითო.

აქ მართლა ძალიან ჰყვარებიათ კლაუს ტოპმიოლერი, საქართველოს ხსენებაზე მყის მის სახელს ახსენებენ და, გუტ, გუტო, ამბობენ.

ჰამბურგიდან როსტოკში მატარებლით გავეშურე, გზადაგზა ამინდი უარესდებოდა, როსტოკში კი სულაც თავსხმა დამხვდა. საქართველოს ნაკრებმა ხუთ საათზე ივარჯიშა, არ იყვნენ გიორგი დემეტრაძე, მიხეილ აშვეთია, ილია კანდელაკი, გიორგი შაშიაშვილი, ირაკლი მოდებაძე და დავით კვირკველია, რომლებიც მოგვიანებით შეუერთდნენ გუნდს. დანარჩენები აქ არიან და მათ შორისაა ხორვატი პიტერ ზიგადი, ვინც საქართველოს ნაკრების სკაუტია და ჩვენს მეტოქეებს ზვერავს.

სხვათა შორის, გუშინ გერმანიის გაერთიანების დღე იყო და ყველა ორგანიზაციადაწესებულება ისვენებდა. ჰოდა, გუშინ მთელ გერმანიაში მხოლოდ საქართველოს ნაკრებმა იმუშავა.

ჩემდა გასაკვირად, საქართველოსთან მატჩს აქ საკმაოდ დიდი ინტერესით ელიან. არაერთისგან გავიგე, ჩვენს მეტოქეს კლაუს ტოპმიოლერი წვრთნის, მას კი ცუდი გუნდი არ ეყოლებაო.

ვარჯიშის შემდეგ კი ჩვენი ნაკრების სასტუმრო „ჰიუბნერში" ქართველი ჟურნალისტებისთვის აქამდე რატომღაც მოუხელთებელ, „მიუნხენ 1860"-ის მცველ *მათე ღვინიანიძეს* გამოველაპარაკე...

— რამდენად მოულოდნელი იყო შენთვის „მიუნხენ 1860"-ში გადასვლა?

— ძალიან მოულოდნელიც არ ყოფილა. კლაუს ტოპმიოლერისგან და რალფ მინგესგან ვიცოდი, რომ შესაძლო იყო, მალე გერმანულ გუნდში გადავსულიყავი. ასე რომ, ამას ველოდი კიდეც.

— მეორე ბუნდესლიგა ისეთი გამოდგა, როგორსაც ელოდი?

— ძალიან არ გამჭირვებია, ფიზიკაში პრობლემაც არ მქონია. მიუნხენში ჩამოსვლამდე მოსკოვის „ლოკომოტივში" ორკვირიანი შეკრება გავიარე და კარგადაც მოვემზადე — აქაური დატვირთვები „ლოკომოტივის" დატვირთვებთან ახლოსაც ვერ მივა. მადლობა ღმერთს, გამიმართლა და ასეთ კარგ გუნდში ჩავირიცხე.

— მიუნხენთან შეგუება არ გაგიჭირდა?

— არა, რადგან ამ ქალაქში ჩემი დები ცხოვრობენ და მათ ყველაფერი გამიადვილეს. რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო საკითხებს, თავიდან ცოტა ტაქტიკაში მოვიკოჭლებდი, მაგრამ ამასაც ავუღე ალღო.

— მაინც როდის დაინტერესდა შენით „მიუნხენ 1860"?

— ჩემი თამაში ნაკრებში უნახავთ. როცა აქ ჩამოვედი, ცენტრალურ მცველად მიპირებდნენ დაყენებას, მაგრამ მერე მწვრთნელმა მარჯვნივ დამაყენა და მას შემდეგ ამ პოზიციაზე ვთამაშობ. ისე, აქ მითხრეს, ტოპმიოლერი „მიუნხენ 1860"-ის ქომაგიაო და ეს ძალიან გამიხარდა.

— როგორ ფიქრობ, ნაკრებშიც მარჯვნივ ითამაშებ?

— ამას კლაუს ტოპმიოლერი გადაწყვეტს.

— საქართველოს ნაკრებში გამოძახებას ელოდი?

— სიმართლე გითხრათ, კი. მალტასთან ახალგაზრდული ნაკრების თამაშში წითელი ბარათი რომ არ მიმეღო, ალბათ აქამდეც გამომიძახებდნენ. ნაკრები ჩემთვის მთლად უცხო არ არის. ბიჭებს ვიცნობ და იმედი მაქვს, ჩემს გასაკეთებელს გავაკეთებ.

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# შოთას ოცი პროცენტი

**რასა იქმს ტრავმიანი შოთა არველაძე? საქართველოს ნაკრებს უიმისოდაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება 11 ოქტომბერს იტალიასთან მატჩში და თუ შოთაც ვერ ითამაშებს, სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება. არველაძეს გუშინ შევეხმიანეთ ალკმაარში...**



— ოდნავ უკეთ ვარ, მაგრამ ბოლომდე გამოჯანმრთელებამდე ჯერ კიდევ მიკლია. ექიმები მეუბნებიან, სანამ ბოლომდე არ ჩაგიცხრება გასიებული მუხლი, მანამდე უნდა დაისვენოო.

— მუხლზე ტომოგრაფიული გამოკვლევა კიდევ არ ჩაგიტარებია?

— არა, რადგან მუხლი კიდევ ისეა გასიებული, რომ ტომოგრაფიაზე კარგად ვერაფერი გამოჩნდება.

— მსუბუქადაც ვერ იტვირთები?

— მხოლოდ ტრენაჟორული ველოსიპედით ვვარჯიშობ.

— დაახლოებით როდისთვის გამოჯანმრთელდები?

— ეს ისეთი ტრავმაა, მკურნალობას ჯერ ვერ დაგეგმავ. ყოველდღე დავდივარ „ალკმაარის" ბაზაზე და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვარ.

— შენი იტალიასთან თამაშის შანსი რამდენია?

— 20 პროცენტი. მუხლს ბოლომდე ვერ ვშლი, რაც ხელს უშლის შეშუპებული სახსრიდან სითხის გაწოვას.

— კლაუს ტოპმიოლერს ელაპარაკე?

— მას დღეს ვესაუბრე ტელეფონით და ტოპმიოლერსაც იგივე ვუთხარი ჩემი იტალიასთან თამაშის შანსებზე.

— მოკლედ, დიდი იმედი არ გაქვს, რომ იტალიასთან ითამაშებ?

— „აიაქსის" ექიმთანაც მივედი, ის ჩემს მუხლს კარგად „იცნობს" და მითხრა, სიტუაცია უფრო საგანგაშო მეგონაო. ვნახოთ, თუ ყველაფერი კარგად იქნა, სულ მცირე, ოთხი-ხუთი დღე მაინც დამჭირდება, სრული დატვირთვით რომ ვივარჯიშო — ჯერჯერობით ასეთ დღეში ვარ...

**დავით თავართქილაძე**

# გერმანული ზღაპარი

## ბუნდესნაკრები ორად გაიყო: ახლები და ძველები



AFP

**ბუნდესმწვრთნელი** იოახიმ ლიოვი 7 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ ვეღარ ათამაშებს 20 წლის მარსელ იანსენს — „მიონხენგლადბახის" განაპირა მცველმა ბუნდესლიგაში „ვერდერთან" შეხვედრისას მარჯვენა მუხლი დაიზიანა და საოპერაციოა.

მიუხედავად ამისა, იანსენი გუშინ გერმანიის ნაკრებს მაინც შეუერთდა ბერლინში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ფილმის — „გერმანია, ზაფხულის ზღაპარი" — პრემიერაზე.

„რა თქმა უნდა, ძალიან დამწუხრებული ვარ, ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი რამ შემემთხვეოდა. ახლა ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბო, და ვეცადო, რაც შეიძლება მალე შევძლო მოედანზე დაბრუნება" — თქვა იანსენმა.

საქართველოსთან თამაშში იოახიმ ლიოვს სურს, რამდენიმე ახალბედა გამოსცადოს და მათ შანსი მისცეს.

„ერთ-ორ მოთამაშეს თავის გამოჩენის საშუალება აუცილებლად მიეცემა. მნიშვნელოვანი კი ის თამაშია, რომელიც 11 ოქტომბერს ბრატისლავაში გველის, საუკეთესო ფორმაში იქ უნდა ვიყოთ. საქართველოსთან თამაში კი უფრო ახალი გუნდის გამოცდაა" — განაცხადა გუშინ ლიოვმა.

იანსენის დარად ტრავმირებული ოლივერ ნოივილიც დაესწრო ბერლინურ შეკრებას. მან დღეს საბოლოო ტესტი უნდა გაიაროს და მერელა გაირკვევა, მოახერხებს თუ არა თამაშს.

„მხოლოდ ტესტის შემდეგ გადაწყვეტენ ექიმები, შესაძლებელი იქნება ოლივერის მინდორზე გაყვანა თუ არა" — განმარტა ნაკრების თავკაცმა. თუკი ნოივილის თამაში გადაწყდება, მაშინ მწვრთნელი ახალ თავდამსხმელს აღარ გამოიძახებს: „ჩვენ მის გარდა, კიდევ ოთხი თავდამსხმელი გვყავს, რაც ორივე თამაშისთვის საკმარისია."

საქართველოსთან თამაშის წინ ბუნდესმწვრთნელმა ძალაალუდგენელ მოთამაშეთათვის (მიროსლავ კლოზე, ტორსტენ ფრინგსი, ფილიპ ლამი) ინდივიდუალური პროგრამა შეიმუშავა და განაცხადა: „ისინი საქართველოს წინააღმდეგ ნამდვილად არ ითამაშებენ 90 წუთს."

7 ოქტომბერს უფრო სათადარიგოები დაიტვირთებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ იან შლაუდრაფი, კლემენს ფრიცი და პიოტრ ტროხოვსკი შანსს მიიღებენ.

„იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ბოლო ორი წელია, ნაკრებში არიან, ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ. მაგალითად, მიუნხენის „ბაიერნის" თავდამსხმელმა ლუკაშ პოდოლსკიმ ევროშესარჩევის პირველ ორ თამაშში ხუთი გოლი გაიტანა. ჩვენ მისით აღფრთოვანებულნი ვართ. ახლებმა კი უნდა დაამტკიცონ" — ამბობს ლიოვი.

სანამ საქართველო-სლოვაკეთთან მზადება დაიწყებოდა, მსოფლიოს ჩემპიონატი კვლავ გერმანელთა პროგრამაშია — გუშინ ბერლინში ცონკე-უორტმან-ფილმზის გადაღებული „გერმანია, ზაფხულის ზღაპარის" ჩვენება გაიმართა და ბუნდესნაკრების გარდა პრემიერას არც გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გამოჰკლებია.

იოახიმ ლიოვისთვის ეს კიდევ ერთი განტვირთვა და ლამაზი მოგონებაა, სანამ კვლავ ყოველდღიური მუშაობა დაიწყება.

და მაინც: „ჩვენი მზერა ყოველთვის წინაა მიმართული" — ბრძანებს ლიოვი.

**ნინო სილაგაძე**

# მატჩისთვის საელჩოც ემზადება

## იტალიელები თბილისში მიღებას აწყობენ

**11 ოქტომბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2008-ის შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრებს უმასპინძლებს და საამმატჩო ორგანიზაციული საკითხები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უკვე გადაწყვეტილი აქვს — დღეს ფედერაციის გენმდივანი უჩა უგულავა ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენციის გამართვას აპირებს.

11 ოქტომბრის მატჩისთვის ემზადება საქართველოში იტალიის საელჩოც. ეს ორგანიზაცია მატჩის წინა დღეს ოფიციალურ მიღებას აწყობს და მიღებაზე იტალიური დელეგაციის გარდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც დაპატიჟა. იტალიის საელჩოს სტუმრებს შორის არ იქნებიან „სკუადრა აძურას" ფეხბურთელები, მიღებას თბილისში ჩამოსული დელეგაციის ოფიციალური პირები დაესწრებიან და შესაძლოა, გუნდის მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონიც მიიწვიონ.

ადრე გაუწყეთ, რომ იტალიის ნაკრები, რომელიც მესამედ ესტუმრება თბილისს, ტრადიციისამებრ, სასტუმრო „მეტეხში" დაბინავდება, მაგრამ იტალიელებმა ტრადიციას და თავდაპირველ გადაწყვეტილებას უგანეს — გუნდი „თბილისი-მარიოტში" იცხოვრებს, დელეგაციის წარმომადგენლები კი „მეტეხს" მიაშურებენ.

და რამდენკაციანი იქნება იტალიური დელეგაცია? აპენინელებს ქართული მხარისთვის ეს ჯერ არ უცნობებიათ.

**დავით თავართქილაძე**

### ინგლისი

**კონფერენსლიგა. XIII ტური**

ალდერშოტი 3:3 ტემუორთი
ბარტონი 2:1 ძროული
კემბრიჯი 2:2 ალტრინჩემი
გრეისი 2:2 ექსეტერი
ჰალიფაქსი 2:0 კიდერმინსტერი
მორეკემბი 1:0 რაშდენი
ნორსვიჩი 1:2 იორკი
ოქსფორდი 2:2 სოთპორტი
სტ. ალბანსი 0:0 ფორესტ გრინი
სტაფორდი 1:2 დაგენემი
სტივენეიჯი 3:2 უოქინგი

### შვეიცარია

**სუპერლიგა. X ტური**

სენტ გალენი 3:1 შაფჰაუზენი
თუნი 2:1 აარაუ

### სლოვაკეთი

**პირველი ლიგა. XIV ტური**

ნიტრა 0:2 კოშიცე
ტრნავა 0:3 ჟილინა

# ივანიშვილი და ტორპედო?



**ქუთაისში** უკვე გახმაურებული ამბავია, ცნობილ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს „ტორპედოს" შეძენა სურსო. ამ ცნობას ოფიციალური პირები არ ადასტურებენ, თუმცა ხმები მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

სხვათა შორის, ივანიშვილის „ტორპედოთი" დაინტერესებაზე ადრეც ლაპარაკობდნენ, თუმცა ამჯერად უფრო თამამად საუბრობენ ამ ამბავზე და ვნახოთ...

ვის ვის და, პრეზიდენტდაპატიმრებულ „ტორპედოს" ამჟამად მართლაც სჭირდება ძლიერი პატრონი.

**ლუკა თალაქვაძე**

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



ფაბიო გროსო თბილისში ვერ ჩამოვა



რობერტო დონადონიმ გუნდი კოვერჩანოს საწვრთნელ ცენტრში შეკრიბა

# ო გროსო მიო

## დონადონის ტრავმამ ნაგმირალი წაართვა

**იტალიის** ნაკრების მცველი, მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი ფაბიო გროსო დაშავდა და 11 ოქტომბერს თბილისში ვერ ითამაშებს.

გროსომ სერია A-ს მეხუთე ტურის „ინტერ“ — „კალიარის“ მატჩში მიიღო ტრავმა და შესვენებაზე შეცვალეს.

„ფაბიომ მეორე ტაიმი ტრავმის გამო ვერ ითამაშა. მას მარცხენა ბარძაყი სტკივა“ — განაცხადა იტალიის ნაკრების ექიმმა ანდრეა ფერეტიმ.

იტალიელთა თავკაცი ძალიან შეაშფოთა გროსოს ამბავმა, მით უმეტეს, ასეთ რთულ სიტუაციაში — იტალიას ორ მატჩში ერთადერთი ქულა აქვს და უკრაინა-საქართველოსთან უეჭველ ექვს ქულას გეგმავს.

იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, ამ ორ მატჩში გროსოს ადგილს დაცვის მარცხენა ფლანგზე ბარსელონელი ჯანლუკა ძამბროტა დაიკავებს, მარჯვნივ კი ლაციოელი მასიმო ოდო დადგება.

შეგახსენებთ, რომ უკრაინა-საქართველოსთან მატჩებისთვის მზადება მსოფლიოს ჩემპიონებმა 2 ოქტომბერს დაიწყეს კოვერჩანოს საწვრთნელ ცენტრში და პირველივე ვარჯიშს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის კომისიონერი ლუკა პანკალი დაესწრო. მან რობერტო დონადონის და ფეხბურთელებს რამდენიმეწუთიანი „მოთელვა“ ჩაუტარა და მოახლოებული შეხვედრებისთვის გაამხნევა....

**ქახა ზალამბერიძე**



პირველი ვარჯიშის წინ ლუკა პანკალიმ ბიჭები შეაგულიანა

# გამარჯობა, ნახვამდის

## გრეგორი კუპე: დომენეკს ამას ვერასოდეს ვაპატიებ

„დომენეკს, რა თქმა უნდა, ვესალმები, მაგრამ ეს არის და ეს. სხვა, უფრო ახლო ურთიერთობა მასთან არ მაქვს და არც არასოდეს მექნება“ — განაცხადა საფრანგეთის ნაკრების მეკარემ გრეგორი კუპემ.

„ლიონის“ კარის დარაჯს ჯერაც ვერ დაუვიწყებია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატი, როცა რაიმონ დომენეკმა მას ფაბიენ ბარტეზი აჯობინა.

„მას შემდეგ დრო გავიდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, გარდა იმისა, რომ ახლა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მეკარე მე ვარ“ — ამბობს კუპე.

შეგახსენებთ, რომ ფრანგები 7 ოქტომბერს სტუმრად შოტლანდიას ეთამაშებიან, 11-ში კი ფარერებს მასპინძლობენ.

**ქახა ზალამბერიძე**

# დადექით უკან და შეუტიეთ გვერდიდან

## ალგიმანტას ლიუბინსკასს ფულს არ აძლევენ




სანაკრებო ციებ-ცხელება იწყება და ჩვენი მეტოქეებიც მოახლოებული მატჩებისთვის ემზადებიან. საქართველოს ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩს 11 ოქტომბერს იტალიასთან გამართავს და ალბათ საინტერესო უნდა იყოს იმ გუნდის მთავარი მწვრთნელის აზრი, რომელმაც მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებს ქულა აართვა — ლიტვის ნაკრების თავკაცი ალგიმანტას ლიუბინსკასი პირველი სენსაციის ერთ-ერთი ავტორია...

**— შესარჩევ ციკლში უკვე ორი მატჩი მოილიეთ. როგორია თქვენი განწყობა?**

— როგორ გითხრათ... იტალიასთან ფრის შემდეგ ძალიან კმაყოფილები ვიყავით, შოტლანდიასთან წაგების მერე კი — ძალიან უკმაყოფილოები. შოტლანდიასთან უეჭველ სამ ქულას ვგეგმავდით, მაგრამ, სამწუხაროდ, წავაგეთ, რამაც იტალიიდან წამოღებული ქულა გაახუნა...

**— რა არ გამოგივიდათ?**

— პირველ რიგში, შეცდომა დავუშვით, როცა იტალიასთან მატჩის დასრულებისთანავე გამოვფრინდით ნეაპოლიდან. ცუდი ამინდის გამო კი ვარშავაში დაფრენა მოგვიხდა და იქ ტყუილად გავატარეთ მთელი ექვსი საათი. ამას ისიც დაემატა, რომ ლიტვაში ცუდი მოედანი გვაქვს და შეტევებისას ბურთს ხშირად ვკარგავდით. სწორედ ცუდი მოედნის გამო გავუშვით შოტლანდიელებისგან მეორე გოლი.

**— იტალიასთან ფრის შემდეგ ალბათ მთელი ქვეყანა ფიქრობდა, რომ შოტლანდიას მოუგებდით...**

— ასე იყო, თუმცა შოტლანდიასთან წაგების მერეც მოდიოდა ხალხი და კარგ თამაშს გვილოცავდა.

**— მათ შორის მთავრობაც ხომ არ ყოფილა?**

— არა. ჩვენთან „რელიგიად“ კალათბურთი ითვლება.

**— იტალიასთან ფრის გამო ფეხბურთელებმა პრემიები მიიღეს?**

— ერგებათ, მაგრამ ჯერ არ აუღიათ. თანხის დასახელება არ შემიძლია, მაგრამ, მაგალითად, უკრაინის ნაკრებთან შედარებით ეს კაპიკებია. ჩემი ფეხბურთელების მთავარი [illegible]იმული ისაა, რომ ისინი ლიტვის მოქალაქეები არიან.

**— უკრაინის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისთვის რვა მილიონი დოლარი მიიღო...**

— ასეთი თანხა ჩვენ არც დაგვესიზმრება.

**— 7 ოქტომბრის მატჩეც გკითხავთ...**

— ფარერებს აუცილებლად უნდა მოვუგოთ. საერთოდ კი, სამეულისთვის ბრძოლა გვინდა, მაგრამ საფრანგეთთან, იტალიასთან და უკრაინასთან ეს ძალიან ძნელია. ჯერჯერობით, საფრანგეთი საუკეთესოა, დანარჩენებზე ლაპარაკი მიჭირს.

**— იტალიაზე რას იტყვით?**

— მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ ეიფორიაში იყვნენ, მაგრამ არა მგონია, ახლაც ასე იყოს. მათ ცუდი სტარტი ჰქონდათ და ყველანაირად ეცდებიან, უახლოეს მატჩებში მდგომარეობა გამოასწორონ. ახლა მათ წინააღმდეგ წარმატება თუ გინდა, თამაში სწორად უნდა ააწყო — გაუვალი დაცვა და ბურთის კონტროლი არ უნდა დაკარგო. ჩვენ დაცვაში არ ჩავმჯდარვართ, უბრალოდ, უკნიდან ვითამაშეთ. და, რა თქმა უნდა, ფლანგები — იტალიას ძლიერი შუა ხაზი ჰყავს, მაგრამ ფლანგებზე ნაპრალების პოვნა შეიძლება.

**— იტალია — უკრაინაზე რა პროგნოზს გააკეთებდით?**

— მე პროგნოზისტი არ ვარ, მაგრამ ძალიან მინდა, ეს მატჩი ფრედ დამთავრდეს. გავიდეს საფრანგეთი პირველ ადგილზე და დანარჩენებმა ქულები დაკარგონ — მაღალი ადგილის დასაკავებლად ასე უფრო მეტი შანსი გვექნება.



# დღეს ტოპმიოლერი ჩრდილოეთით იწყებს

**დღეს** ჰაინც ტოპმიოლერის 19-წლამდელთა ნაკრები ევროშესარჩევი ციკლის პირველ ეტაპს იწყებს. ჩვენები უკვე ოთხი დღეა, რუმინეთში არიან და ჯგუფიდან გასვლა ამოჭრიათ გულში. რატომაც არა — ჰერ ჰაინცის სიაში ათი ისეთი ფეხბურთელია, შარშანაც რომ ითამაშეს ევროშესარჩევის ციკლში და გამოცდილებაც დაუგროვდათ.

მეკარე ნუკრი რევიშვილი რომ არ ჩავთვალოთ, წინა შესარჩევში 19-წლამდელთა შემადგენლობა თითქმის იგივე იყო, რაც წლეულს იქნება: დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გულვერდ თომაშვილი, გიორგი ხიდეშელი, გიორგი ელბაქიძე, მირზა ბჟალავა, გიორგი განუგრავა, ალექსი ბენაშვილი, რატი წინამძღვრიშვილი, ბექა გოცირიძე — აი, შარშანდელი ათეული.

აქვე ჩვენი ჯგუფის მატჩების კალენდარს გთავაზობთ და გეტყვით, რომ ყველა მატჩი თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება...

**4 ოქტომბერი, სტრეინიჩი**

**ბელგია — რუმინეთი**

**პლოეშტი**

**საქართველო — ჩრდ. ირლანდია**

**6 ოქტომბერი, პლოეშტი**

**ბელგია — ჩრდ. ირლანდია**

**სტრეინიჩი**

**საქართველო — რუმინეთი**

**9 ოქტომბერი, პლოეშტი**

**საქართველო — ბელგია**

**სტრეინიჩი**

**რუმინეთი — ჩრდ. ირლანდია**

ქართველების პირველ ორ მატჩს ხორვატი მსაჯი მარიო სტრაჰონია. გაუძღვება, მესამე შეხვედრის მსაჯი კი ჯერჯერობით უცნობია.

შეგახსენებთ, ჩვენმა 19-წლამდელებმა შარშან პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავეს. თუმცა ელიტ-რაუნდის (მეორე ეტაპი) ოთხგუნდა ჯგუფში მესამე საფეხურს დასჯერდნენ და ჯგუფიდან ველარ გავიდნენ. ახლაც იგივე სისტემაა: ამ ჯგუფიდან ორი ნაკრები გავა ელიტ-რაუნდში, სადაც 24 გუნდი ექვს ოთხგუნდა ჯგუფად განაწილდება და ფინალურ ეტაპზე გამარჯვებულები გავლენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# უეფამ 17-წლამდელებს მსაჯები მიამაგრა

**გუშინ** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და „ზესტაფონის" სარეზერვო გუნდს 4:1 სძლია.

ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა რამდენიმე კანდიდატი გამოსცადა და შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე ასეთი შანსი გერმანელ მწვრთნელს კიდევ ორჯერ ექნება.

პირველ ტაიმში ერთადერთი გოლი გავიდა — თბილისის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი ლევან ყენია „ზესტაფონის" მეკარესთან პირისპირ გავიდა და ნაკრების დებიუტანტს, უკრაინაში მოთამაშე ჯიმი გიორგობიანს გაატანინა.

შესვენების შემდეგ ორჯერ თორნიკე ბერიძემ (77-ე და 86-ე წუთებზე) გაიტანა, ერთი ბურთი კი ლევან შონიამ (62) მიითვალა.

ზესტაფონელთაგან თავი დავით ჯანელიძემ გამოიჩინა — პენალტი ზუსტად დაარტყა.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, სორდია, სალარიძე, თარხნიშვილი, მაჭავარიანი (ხოკერაშვილი 78), ბერიძე, ლანიაშვილი, ყენია (შონია 55), გიორგობიანი.*

*სათადარიგონი: დგებუაძე, ბეგლარიშვილი, ბეროშვილი, ჯოხაძე.*

17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 13-18 ოქტომბერს თბილისში გაიმართება. რა შეხსენება გჭირდებათ, რომ ევროშესარჩევის მე-5 ჯგუფში საქართველო, გერმანია, რუსეთი და მაკედონია მოხვდნენ, გუშინ კი უეფას საშეჯიბრო კომიტეტმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას იმ მსაჯების ვინაობა ამცნო, რომლებიც თბილისურ მატჩებს მოემსახურებიან.

**13 ოქტომბერი**

**გერმანია — მაკედონია**

**მსაჯები:** შ. საპი; ა. ალბერტი (ორივე უნგრეთი), ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია (ორივე საქართველო)

**საქართველო — რუსეთი**

**მსაჯები:** ი. ცალიდისი; ს. პანოუ (ორივე საბერძნეთი), მ. მალმბერგი; ტ. ვეილგაარდი (ორივე დანია)

**15 ოქტომბერი**

**საქართველო — გერმანია**

**მსაჯები:** ი. ცალიდისი; ს. პანოუ (ორივე საბერძნეთი), ა. ალბერტი; შ. საპი (ორივე უნგრეთი)

**რუსეთი — მაკედონია**

**მსაჯები:** ტ. ვეილგაარდი; მ. მალმბერგი (ორივე დანია), ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია (ორივე საქართველო)

**18 ოქტომბერი**

**რუსეთი — გერმანია**

**მსაჯები:** ტ. ვეილგაარდი; მ. მალმბერგი (ორივე დანია), ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია (ორივე საქართველო)

**საქართველო — მაკედონია**

**მსაჯები:** შ. საპი (უნგრეთი); ს. პანოუ (საბერძნეთი), ა. ალბერტი (უნგრეთი); ი. ცალიდისი (საბერძნეთი)



# ფრთხილად, გაზია!

## ამერელს ბინა გაუძარცვეს

**გუშინწინ** ღამე ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა. საქართველოს ნაკრების ყოფილი მოთამაშის, წინა სეზონში საქართველოს საუკეთესო მცველად დასახელებული ამერელი ვახტანგ ხვადაგიანის ბინაში მძარცველები შევიდნენ.

სახლში ხვადაგიანის გარდა მეუღლე და შვილები იყვნენ. ნაძირალებმა მომწამვლელი გაზი გაუშვეს და ისე შეუდგნენ საქმეს.

კიდევ კარგი, ხვადაგიანების ოჯახის წევრებისთვის გაზს გამოუსწორებელი ზიანი არ მიუყენებია.

ამ ამბის გაგებისას ნაცნობი პატრულის ორიოდე თვის წინ ნათქვამი გამახსენდა, გახშირდა ისეთი ქურდობა, როცა ოჯახის წევრები სახლში არიან, მძარცველები გაზს უშვებენ და თიშავენო...

**კოტე კეკელია**

# ნაკრების წევრთა ოთხმოცი პროცენტი ნაკრების ღირსი არ არის

## გუგეშაშვილს არ ესმის, ვინ ახსენა კიკნაძე

მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი, წესით და რიგით, ყველაზე დაძაბული უნდა გამოდგეს. საჩემპიონო ამბიცია ერთბაშად 5-6 გუნდს ჰქონდეს, აქამდე არ მომხდარა. ერთ-ერთი მათგანი სეზონის წინ შექმნილი რუსთავის „ოლიმპია" — გუნდმა ჩინებულად დაიწყო ჩემპიონატი, საწყის შვიდ ტურში ექვსი მოიგო, ერთი ფრე ითამაშა და საკუთარ კარსაც მშრალად ინახავს. გუნდის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილია, რომელიც მანამდე საკმაოდ სიმპათიური „თბილისის" დამფუძნებელი იყო. „ოლიმპიც" სანახევროდ სწორედ „თბილისის" ბაზაზე ჩამოყალიბდა...



— ჩვენი ყველაზე სუსტი წერტილი ფიზიკური მომზადებაა, გუნდი თამაშიდან თამაშამდე ვერ ასწრებს ძალების აღდგენას. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ სათასო შეხვედრები ჩავაგდეთ.

**— „ჩიხურასთან" სათასო ფრის შემდეგ ითქვა, „ოლიმპის" ხელმძღვანელობა გიორგი კიკნაძის გათავისუფლებას აპირებსო...**

— ვერ გეტყვით, საიდან გაჩნდა ეს ინფორმაცია. კლუბის ხელმძღვანელობას კიკნაძის გათავისუფლებაზე არ უსაუბრია. გიორგი პირველ წრეს აუცილებლად ჩაამთავრებს და გამორიცხული არ არის, გუნდი შემდგომშიც ვანდოთ. რაც შეეხება სათასო შეხვედრებს, აქ მწვრთნელმა ექსპერიმენტს მიმართა და ამის თაობაზე ხელმძღვანელობას ჰქონდა მასთან საუბარი.

**— საჩემპიონო ბრძოლაში კონკურენტებად რომელი გუნდები მიგაჩნიათ?**

— ასეთი ამბიცია რამდენიმე კლუბს აქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, სამეულში ადგილებს ჩვენ, „დინამო" და „ამერი" გავინაწილებთ. შესაძლოა, ეს სამეული „ვიტ ჯორჯიამ" ან „ზესტაფონმა" შეავიწროვონ. „სიონს" და „ტორპედოს" ბრძოლა გაუჭირდებათ. სეზონის წინ გაცილებით მეტს ველოდი „ჩიხურასგან".

**— ლეგიონერებით ხომ არ აპირებთ გაძლიერებას?**

— ჩვენი ძირითადი მიზანი გუნდის „ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე დაკომპლექტებაა. ლეგიონერების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩვენთან დიდი ფეხბურთელები არ ჩამოვლენ, ხოლო ვინც ჩამოჰყავთ, იმ დონის ფეხბურთელების მოძებნა საქართველოშიც შეიძლება. ჯერ არ გვყავს საშუალო ევროპული დონის გუნდები, რომ მაღალი დონის ლეგიონერები მოვიწვიოთ, ამას დიდი ფინანსები სჭირდება. ამ მხრივ ქართულ ფეხბურთში სერიოზული პრობლემებია.

**— ქართული ფეხბურთის საერთო დონეზე რას იტყვით?**

— თუ ათბალიანი სისტემით შევაფასებთ, ეროვნული ჩემპიონატის დონე მაქსიმუმ ოთხი-ხუთი ბალია. საერთოდ, თამაშისას ფეხბურთელი 18 კილომეტრს უნდა დარბოდეს, ჩვენს ჩემპიონატში კი 9-10 კილომეტრსაც არ დარბიან. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო ევროპულ გუნდში ერთ ტაიმსაც ვერ ითამაშებენ. რომელიმე კლუბმა ან თუნდაც ფედერაციამ აღდგენითი ცენტრი რომ შექმნას, ქართულ ფეხბურთს ძალიან წაადგებოდა. ფაქტობრივად, არ გვყავს ფიზიკური მომზადების მწვრთნელებიც. ალარაფერს ვამბობ ბავშვთა ფეხბურთზე.

**— თქვენი ნება რომ იყოს, ეროვნულ ნაკრებში „ოლიმპიდან" ვის ათამაშებდით?**

— რომელ ფეხბურთელსაც უნდა ჰკითხო, ნაკრებში თამაშს ყველა იმსახურებს. მე თუ მკითხავთ, ვინც ამჟამად ნაკრებშია, 80 პროცენტი ამის ღირსი არ არის. ვერც ჩემი გუნდიდან გავუწევდი ვინმეს რეკომენდაციას. ახალგაზრდულ ნაკრებში კი შეიძლება ხუთი-ექვსი ფეხბურთელის გასინჯვა.

**— „ოლიმპს" და გიორგი დევდარიანის დროინდელ „თბილისს" თუ შეადარებთ?**

— „თბილისი" რომ პიკზე იყო, ისეთი გუნდი საქართველოს ჩემპიონატში არ ყოფილა. შემადგენლობითაც და თამაშის ხარისხითაც საუკეთესო გუნდად მიმაჩნია.

**— რუსთავში სტადიონის რეკონსტრუქცია როდის იწყება?**

— კონკრეტულ ვადას ვერ გეტყვით, მაგრამ რეკონსტრუქცია სეზონის ბოლომდე ნამდვილად იგეგმება. გვინდა, ისეთი სტადიონი გვქონდეს, სადაც მაღალი დონის ფეხბურთის თამაში იქნება შესაძლებელი.

# მკვლელი ანგელოზები

„ვალენსიას“ თავდასხმაში მეტოქეებისთვის „სასიკვდილო“ წყვილი ჰყავს გამზადებული — ფერნანდო მორიენტესი და დავიდ ვილია. წლეულს „ღამურებმა“ ესპანურ პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაზე 9 ოფიციალური მატჩი ჩაატარეს და ვილია-მორიენტესის დუეტმა 13 გოლით იხეირა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვალენსიელმა მოიერიშეებმა ევროპის ყველა გრანდის ფორვარდები დაჩაგრეს. საამსეზონოდ 9 თამაშში ამდენი გოლით არც ერთი ევროპული გუნდის თავდამსხმელთა წყვილს არ გაუხარია. „ღამურათა“ ერთ-ერთ მეგოლეს, ფერნანდო მორიენტესს, მადრიდულმა „ასმა“ მიაკითხა




**— სეზონი დიდებულად დაიწყეთ, ამაზე უკეთესის ნატვრაც არ შეიძლება. პრიმერადივიზიონში მსგავს სტარტს თუ გაიხსენებდით?**

— კარიერის განმავლობაში ბევრი სასიხარულო წუთი განვიცადე. მოხარული ვარ, რომ საქმეები ასე კარგად მიდის. ჩემი აზრით, ესპანურ პრიმერაში დაბრუნების იდეამ გამიმართლა. ჩემს წარმატებაში კი მნიშვნელოვანი წვლილი „ვალენსიას“ მიუძღვის. ბედის წყალობით, ვთამაშობ ძლიერ გუნდში, რომელიც პრიმერადივიზიონის და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძვის.

**— ბოლო კვირა ძალიან დაძაბული იყო, პრიმერაში „ბარსასთან“, ხოლო ლიგაზე „რომასთან“ რთული მატჩები გქონდათ...**

— მართლაც რთული პერიოდი გადავიტანეთ, რომელიც ორი გამარჯვებით დავაგვირგვინეთ, „რომასთან“ და „ხიმნასტიკთან“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ლიგაზე სამი ქულის მოპოვება იყო, რამაც დიდი სიმშვიდე და სულიერი სიმხნევე შეგვძინა. „ბარსასთან“ „კამპ ნოუზე“ კი, ჩემი აზრით, ურიგოდ არ გვითამაშია.

**— თქვენ და დავიდ ვილია „ვალენსიასთვის“ გამარჯვების მომტან ანგელოზებად იქეცით...**

— იცით, ამ მხრივ სულ მიმართლებდა, თავდასხმაში ყოველთვის ძლიერი ფეხბურთელის მეწყვილე ვიყავი. ახლაც ძალიან კმაყოფილი ვარ, „ვალენსიაში“ „მეორე ნახევრად“ დავიდ ვილია რომ მეგობარია. მას ბავშვობიდან ვიცნობდი. როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება, შესანიშნავია. მოედანზე ერთმანეთს საოცრად იოლად გავუგეთ.

**— როცა ვილია გოლს ვერ გაიტანს, მორიენტესს გააქვს და პირიქით...**

— მთავარია, რომ ჩვენმა გოლებმა „ვალენსიას“ ხეირი მოუტანოს. თუ მე ვერ შევაგდე, არა უშავს — დარწმუნებული იყავით, ვილია მაინც არ გაუშვებს თავის შანსს... ყველა გვეუბნება, ამ სეზონში ერთად უამრავი გოლი უნდა გავიტანოთ. ღმერთმა ქნას.

**— „მესტალიას“ ინჩასების მხარდაჭერაზე რას გვეტყვით?**

— ცუდი რა მეთქმის. გულშემატკივართა გასახარად, თავს არ ვზოგავთ და ისინიც ვალს ოვაციებით და სიყვარულით გვიბრუნებენ.

**— „ვალენსიას“ მწვრთნელ კიკე ფლორესის მიერ განხორციელებულ როტაციებზე რას ფიქრობთ?**

— რასაკვირველია, „კამპ ნოუზე“ ან „ვისენტე კალდერონზე“ თამაში ყველას ხიბლავს, მაგრამ მთავარია გუნდი და მისი ინტერესები. თუ მწვრთნელმა მორიენტესის სათადარიგოებში გაგზავნა გადაწყვიტა, ამას გაგებით მოვეკიდები. საერთოდ კი გუნდში 25 ფეხბურთელი ვართ და ყველას შეგვიძლია მაღალ დონეზე თამაში.

# თუთიყუში კაპელო: რამოსი ტაისონს ჰგავს?



ფერნანდო ტორესი

**ფაბიო კაპელომ** ფერნანდო ტორესს ბოდიში მოუხადა. გახსოვთ ალბათ, მადრიდულ დერბიში მსაჯმა მალენკომ რეალელი სერხიო რამოსი რომ გააძევა, „ატლეტიკოს“ ლიდერ ტორესს სახეში ხელი სთხლიშაო. კაპელოს აზრით კი, ტორესმა იმ ეპიზოდში ითვალთმაქცა და ექსპანსიურმა იტალიელმაც „ელ ნინიოს“ სულ „აფერისტი“ და „მსახიობი“ უძახა... დღეს „რეალის“ მწვრთნელი მაშინდელ გაფიცხებას ნანობს, ოღონდ არ იფიქროთ, რომ აზრი შეიცვალა. უბრალოდ, ამბობს: „არ მინდოდა, ვინმესთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა. ესპანური სიტყვის — **TRAMPOSO** — მინიშნება კარგად არ ვიცოდი. თურმე ეს აფერისტს და გაფუჭებულს ნიშნავს... როცა „ბერნაბეუზე“ ფერნანდო ტორესი არტისტულად დაეცა, სტადიონზე ვიღაცამ ჩემს გვერდით ის სიტყვა დაიძახა და მეც მერე ჟურნალისტებთან გავიმეორე... ტორესს ვთხოვ, მაპატიოს, უნებლიედ რომ ვატკინე გული. ისე კი კვლავინდებურად მიმაჩნია, რომ სერხიო რამოსი იმ მომენტში მეორე ყვითელ ბარათს არ იმსახურებდა“ — განაცხადა კაპელომ მედიასთან.

სამეფო თეთრების დამრიგებელმა „ონდა სეროს“ და „კადენა სერის“ ჟურნალისტებს ისიც უთხრა, რომ სერხიო რამოსი... მაიკ ტაისონი არ არის. „ძალიან კარგად ვნახე ის ეპიზოდი და ვერავინ დამაჯერებს, რომ ფერნანდო ტორესი სერხიოს რბილად მოქნეულმა ხელმა მიწაზე მოწყვეტით დაანარცხა. სერხიოს ძალას ვაფასებ, მაგრამ მასსა და მაიკ ტაისონს შორის მაინც ძალიან დიდი განსხვავებაა“ — აღნიშნა იტალიელმა.

და რას ამბობს „ტრამპოსო“ ფერნანდო ტორესი? კაპელომ იმ ეპიზოდის ვიდეოჩანაწერი კარგად ნახოს, ჩემს ლანძღვას მოეშვას და თავის „რეალს“ მიხედოსო — უთქვამს „ატლეტიკოს“ კაპიტანს.

**ლადო ხომერიკი**




# შევჩენკომ თქვა, ჩრდილში ვზივარ... გაიტანს და ფორმაში შევა

**ანდრეი შევჩენკო** „მილანში“ მის შესაძლო დაბრუნებაზე ატეხილ მითქმა-მოთქმას მალევე გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს გამორიცხულია. მოგეხსენებათ, იგი „როსონერიდან“ „ჩელსიში“ გასულ ზაფხულს, 31 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გადავიდა, მაგრამ ლონდონელთა რიგებში კარგად თამაშს ჯერ ვერ ახერხებს. უკრაინელმა „ჩელსის“ მაისურით მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო და აშკარად დიდიე დროგბას ჩრდილშია.

„ინგლისში გადმოსვლას არ ვნანობ და მიხარია, რომ „ჩელსი“ ავირჩიე. აქ ძალიან ბედნიერი ვარ. დროგბას ახლა იღბლიანი დრო უდგას, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი შეიცვლება და ჩემი ჯერიც დადგება. „მილანში“ დაბრუნება კი გამორიცხულია“ — აღნიშნა შევჩენკომ.

უკრაინელს ბოლომდე ენდობა მთავარი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ და შევას დასაცავად კომენტარი „ჩელსის“ კაპიტანმა ჯონ ტერიმაც გააკეთა.

„მას ერთი გოლი სჭირდება და ყველაფერი თავის ადგილას დადგება. როცა ის ბოლოს და ბოლოს გაიტანს, ფსიქოლოგიურ ბარიერს გადალახავს და, ვფიქრობ, ეს მალე მოხდება. ანდრეი ფიზიკურად კარგ ფორმაშია და ძალიან ვაფასებ მის შრომას, რომელსაც იგი მინდორზე უბურთოდ ასრულებს“ — განაცხადა პორტუგალიელმა.

ჯონ ტერი: „ნამდვილ შევას მალე ვიხილავთ. იგი გოლების გატანას აუცილებლად დაიწყებს. მით უმეტეს, რომ ბევრს შრომობს და ცოტა ხანში ბოლომდე ჩაჯდება ჩვენს სისტემაში“.

**გიორგი კაკაბაძე**

# კაპიტანი ღამის კლუბიდან

**უელსის** ნაკრებს 7 ოქტომბერს სლოვაკეთთან და 11 ოქტომბერს კვიპროსთან კრეიგ ბელამი უკაპიტნებს. იგი ტრავმირებული რაიან გიგზის ნაცვლად მოირგებს კაპიტნის სამკლავურს.

აღსანიშნავია, რომ უელსის მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა კაპიტნობა ბელამის ანდო, მიუხედავად იმისა, რომ „ბლექბერნის“ ფორვარდს სწორედ იმ დღეებში ელის დაკითხვა და სასამართლო პროცესი. მოგეხსენებათ, მას კარდიფის ერთ-ერთ ღამის კლუბში ახალგაზრდა გოგონას ცემა ბრალდება.

„იმედია, ბელამი ორივე მატჩში ითამაშებს. მას სასამართლო პროცესი ელის, მაგრამ კრეიგის ხასიათი ვიცი და მჯერა, იგი საბრძოლო ჟინს არ დაკარგავს. ერთადერთი პრობლემა ის გახლავთ, რომ რამდენიმე ვარჯიშს გამოტოვებს“ — თქვა ტოშაკმა.

**კოკი კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეტოოს მაკაის შეზადებენ

## კამერუნელს თარსი ბუცები შვილისთვის ემეტება



როი მაკაი

**სამუელ ეტოოს** ახლა ჟურნალისტები უჩვეულო გარემოში აკითხავენ. თუ აქამდე კამერუნელს მოედანზე ვხედავდით გამძვინვარებულს, გუშინ ესპანური „ტელესინკოს“ კამერებმა აფრიკელი „ლომი“ საკუთარ ოჯახში მყოფი დააფიქსირეს. აბა, რას იზამს. როგორც იცით, ეტოომ „ვერდერთან“ სალიგო მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და მუხლზე ოპერაციაგადატანილი კარგა ხნით დარჩა უბურთოდ. „ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც იმედიანად ვარ. ღმერთს მალე გამოჯანმრთელებას ვევედრები. ექიმებს კი მინდა, წარმატებული ოპერაციისთვის დიდი მადლობა ვუთხრა“ — განუცხადა სამუელმა „ტელესინკოს“.

მუხლმტკივანი აფრიკელი თანაგუნდელებთან კონტაქტს მობილური ტელეფონის მეშვეობით ინარჩუნებს. „ბასკეთში „ბარსას“ თამაშისას კარლეს პუიოლს დავურეკე და თანადგომისთვის მადლობა მოვახსენე. ბიჭებს მაისურებზე ეწერათ — „სამუელ, გამხნევდი!“ რამაც ჩემზე ჯადოსნურად იმოქმედა“ — ამბობს გახარებული ფეხბურთელი. აი, „ვერდერთან“ თამაშისდროინდელი თარსი ეკიპირება კი... „იმ ბუცებს არასდროს აღარ ჩავიცვამ რაც ტრავმის დღეს მეცვა. სახლში შევინახავ, ან შვილს ვაჩუქებ ტრუს-მაისურასთან ერთად“ — უთხრა ეტოომ ჟურნალისტებს.

კამერუნელის ტრავმამ ბარსელონაში სატრანსფერო მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მართალია, კლუბის ხელმძღვანელობა დაბეჯითებით აცხადებს, ახალ ფეხბურთელს არ ვიყიდით და სამუელის ადგილს შინაური რეზერვით შევავსებთო, მაგრამ კატალონიურ პრესაში სავარაუდო ბარსელონელის ვინაობამ მაინც გამოჟონა. იქაური „სპორტის“ ცნობით, „კამპ ნოუს“ გუნდის აგენტები „ბაიერნის“ როი მაკაისთან მოლაპარაკებას აწარმოებენ. ჰოლანდიელი ფორვარდი ესპანური პრიმერადივიზიონის შესანიშნავი მცოდნეა, „ბაიერნამდე“ „ტენერიფეში“ და „დეპორტივოში“ თამაშობდა. 2002-03-ის სეზონში მაკაი „დეპორის“ შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონატის მთავარმეგოლეც გახდა.

როი მაკაიმ გასულ სეზონში „ბაიერნში“ 31 შეხვედრა ჩაატარა და 17 გოლიც გაიტანა. თუმცა სადღეისოდ როი ფელიქს მაგათის გეგმებში აღარ შედის, რის გამოც ახალი კლუბის მოძებნაზე ფიქრობს. ჰოლანდიელმა საამსეზონო ლიგაზე უკვე ითამაშა, რის გამოც „ბარსაში“ გადასვლის შემთხვევაში ამ ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

**ლადო ხომერიკი**



დანიელე დე როსი

# სერი გლადიატორზე ნადირობს

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი“ ცენტრალური ნახევარმცველის ძებნას აგრძელებს და ისევ დანიელე დე როსის დაუბრუნდა. დიდი ხანია, „წითელი ეშმაკები“ „გლადიატორს“ უტრიალებენ და გავრცელებული ცნობით, მზად არიან, 14 მილიონი გირვანქა გაიღონ.

„მანჩესტერის“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი და კომპანია დე როსისადმი დიდი სიმპათიით არიან განწყობილნი. ახალგაზრდა ფეხბურთელში დიდი ფულის გადახდას უფრთხოდნენ, თუმცა ახლა სამიდან ალტერნატივა აღარ დარჩა. ბაიერნელ ოუენ ჰარგრივსთან არაფერი გამოვიდა, ხოლო „მილანის“ ხელმძღვანელებმა გარკვევით განაცხადეს, ჯენარო გატუზოს გაშვებას არ ვაპირებთო.

23 წლის დე როსი თავის პოზიციაზე უკვე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და საკმაო ხანია, „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში დამკვიდრდა. იგი „რომას“ ახალგაზრდული გუნდის აღზრდილია, სადაც მისი მამა ალბერტო მწვრთნელად მუშაობს. იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად მოგებული აქვს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი და ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალი.

გასულ მუნდიალზე დე როსიმ თამაში კარგად დაიწყო, მაგრამ ჯგუფის მეორე მატჩში აშშ-სთან ნერვებმა უღალატა და ბრაიან მაკბრაიდს იდაყვი ჩაარტყა. ამისთვის მან ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. თუმცა ფინალში საფრანგეთთან ითამაშა და არცთუ ურიგოდ. პენალტების სერიაში გოლიც გაიტანა.

**კოკი კანდელაკი**

# ფატი შემჩნეულია



ჟაკ ფატი

**ფრანგული** „რენის“ ცენტრალური მცველი ჟაკ ფატი ადასტურებს, რომ სეზონის ბოლოს „იუვენტუსში“ გადასვლის შანსი აქვს.

ფატი 22 წლისაა და „რენთან“ 2007 წლის ივნისამდე აკავშირებს ხელშეკრულება. სხვათა შორის, მისი ძმა რიკარდო „რომაში“ თამაშობს, ასე რომ, ოჯახისთვის იტალია უცხო გარემო არ არის.

როგორც ირკვევა, ახლაგაზრდა სტოპერის ნიჭი „იუვენტუსის“ ფრანგ მწვრთნელს დიდიე დეშანს დიდი ხანია შემჩნეული აქვს და მისი თაყვანისმცემელია. ირკვევა ისიც, რომ ფატიმ „შავ-თეთრებთან“ შეთანხმებას უკვე მიაღწია.

„თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდება, ივნისში „იუვენტუსში“ გადავალ — უთხრა ფეხბურთელმა „ეკიპს“ და დასძინა — იმედი მაქვს ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა“.

ფატისა და „იუვენტუსის“ ურთიერთობა გასულ ზაფხულს ატეხილმა კალჩოპოლის სკანდალმა განაპირობა. მოგეხსენებათ, ტურინული გუნდი იტალიური ფეხბურთის ყველაზე დიდ ცოდვილად ცნეს და სერია B-ში დააქვეითეს, რის გამოც „ბებერი ქალბატონიდან“ გაიქცნენ ლილიან ტურამი, ფაბიო კანავარო და ჯანლუკა ძამბროტა. შესაბამისად, ტურინელები ახალი მცველების პოვნისა და მიყვანის აუცილებლობის წინაშე დადგნენ.

ფატი: „მწამს, რომ დიდიე დეშანი ჩემით დაინტერესებულია, ხოლო მე რომ დიდ გუნდში თამაში მსურს ამას, აბა, რა მტკიცება უნდა“.

მომავალ იუვენტუსელს საფრანგეთის ლიგაში, „რენის“ მაისურით 103 შეხვედრა აქვს ჩატარებული. ფრანგული კლუბი მას სამ მილიონ ევროდ ყიდის, თუმცა იმავდროულად ფატი გახლავთ „პრომოუშენ სპორტს კონსალტინგის“ საკუთრებაც, ამ ფირმამ კი გასულ ზაფხულს „იუვეს“ ჟან-ალან ბუმსონგის საქმე გაუკვაჭა.

**ბაჭუნა კედია**



მარკუს ოლბოკი

# ისე გაიხარე, როგორც გაგვახარე

## შვედები არაგონესმა გაამხიარულა

**რამ გაახარა** შვედები? რამ და ესპანეთის ნაკრებში რაულის არყოფნამ. 7 ოქტომბერს ლუის არაგონესის გუნდი ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში სკანდინავიელებს რაულის გარეშე ესტუმრება და იქაურებიც სიხარულისგან მეცხრე ცაზე არიან. „ძალიან გამიკვირდა, როცა არაგონესის მიერ ნაკრებიდან რაულის მოკვეთის ამბავი გავიგე. რაული კვლავ დიდ ფეხბურთელად რჩება, რაც მან ჩემპიონთა ლიგაზე ორი გოლის გატანითაც დაამტკიცა. მოედანზე უდიდეს სამუშაოს ასრულებს და ნაკრების ჭეშმარიტი ლიდერი იყო. ვეცდებით, რაულის არყოფნა ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ“ — უთხრა ჟურნალისტებს შვედეთის ნაკრების თავდამსხმელმა მარკუს ოლბოკმა.

„ფურია როხას“ გარეთ გონსალეს ბლანკოს დარჩენა ტობიას ლინდეროტისთვისაც სასიამოვნო სიურპრიზია. „ესპანეთს ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, თუმც რატომ არ მიიწვია არაგონესმა რაული, ჩემთვის გაუგებარია. ეს შვედეთის შანსებს გაზრდის“ — განაცხადა სკანდინავიელთა გუნდის ცენტრალურმა ნახევარმცველმა.

შვედებს სჯერათ, რომ სტოკჰოლმის მატჩის შედეგი მათ შესარჩევ ჯგუფში მოვლენების შემდგომ განვითარებაზე დიდ ზეგავლენას მოახდენს. „თუ ესპანეთს ეს თამაში მოვუგეთ და შემდეგ ისლანდიაც დავამარცხეთ, ევროპის ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა რთული აღარ იქნება. ესპანელებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, თუმცა სტოკჰოლმში მათ ნამდვილ ომს გავუმართავთ“ — დაიქადნა მარკუს ოლბოკმა.

**ლადო ხომერიკი**

# სიურპრიზი: საფრიკა

## პარეირა იქ ცხოვრობს და იქ აშენებს

**სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ამთავითვე გამალებით ემზადება, თუმცა მასპინძლობაში განა მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწყობა შედის? იმისათვის, რომ აფრიკული ზეიმი მართლა ზეიმი გამოვიდეს, აუცილებელია, „ბაფანა ბაფანამ“ კარგი ფეხბურთი აჩვენოს, რასაც დიდი ოფლისღვრა სჭირდება. მოგეხსენებათ, როგორც მასპინძელი, სამხრეთ აფრიკის ნაკრები მუნდიალზე „კონკურსგარეშეა“ დაშვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ოფიციალური შეხვედრების რაოდენობა მოაკლდება და ეს ნაკლი ალტერნატიული გზებით ექნება გამოსასწორებელი. გარდა ამისა, არის გამოცდილების პრობლემაც — გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 2002 წლის შემდეგ არ უთამაშია. ამ ყველაფრისთვის თავის გართმევა კი სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციამ ცნობილ ბრაზილიელ მწვრთნელს, კარლოს ალბერტო პარეირას დაავალა. შეგახსენებთ იმასაც, რაც „სარბიელის“ მკითხველისთვის ისედაც კარგად არის ცნობილი:.63 წლის პარეირამ 1994 წელს ბრაზილიის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. გარდა ამისა, მას უმუშავია ქუვეითის, არაბთა გაერთიანებული საემიროების და საუდის არაბეთის ნაკრებთა თავკაცად, სადაც წარმატებებისთვის მიუღწევია — ეს გუნდები, შესაბამისად, 1982, 1990 და 1998 წლებში შესარჩევი შეჯიბრებიდან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაუყვანია. გთავაზობთ FIFA.COM-ის ინტერვიუს კარლოს ალბერტო პარეირასთან**



**— გვიამბეთ თქვენი ახალი სამსახურის შესახებ?**

— ჯერჯერობით ბევრი არაფერი გამიკეთებია, ეგ არის, რომ კონტრაქტს ხელი მოვაწერე. აქტიურ მუშაობას იანვრის შუიდან დავიწყებ, მანამდე კი აფრიკის თასის შესარჩევ შეხვედრას დავესწარი და ზამბიასთან მომდევნო თამაშის ნახვასაც ვაპირებ. ეს შესამზადებელი სამუშაო ტემპის აკრეფაში დამეხმარება, თორემ მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ უამრავ ფეხბურთსგარეშე საკითხზე, მათ შორის, ოჯახის საქმეებზე ვიყავი გადართული.

**— რატომ შეაჩერეთ არჩევანი სამხრეთ აფრიკაზე?**

— მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატს მასპინძლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ქვეყანა უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ფეხბურთზე იფიქრებს. ასეთ ადგილას ჩასვლა და გუნდის შენება ნამდვილი გამოწვევაა. სამხრეთაფრიკელები გამოცდილ კაცს ეძებდნენ, რომელიც ბოლო შვიდი-რვა წლის დაღმასვლას აღმასვლისკენ შემოატრიალებდა. მოლოდინიც დიდია, ასე რომ, 2010 წელს კარგი გამოსვლისთვის მუხლჩაუხრელი შრომა გვჭირდება.

**— უპირველეს ყოვლისა, რას გააკეთებთ?**

— სამუშაოს დავგეგმავ, საორგანიზაციო საქმეებს მივხედავ და გუნდის მშენებლობასაც შევუდგები. საქმე ნამდვილად ბევრია.

**— წელან ბრძანეთ, რომ ერთი მატჩი უკვე ნახეთ. როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— სამხრეთაფრიკელები ტექნიკურად ძლიერები არიან, თუმცა მეტოქის კარის წინ პრობლემები აქვთ. მათ თამაშების უმეტესობაში გოლი ვერ გააქვთ და ეს გამოსასწორებელია. საამისოდ გრძელვადიანი გეგმა უნდა შედგეს და ვიმედოვნებ, რომ საბოლოოდ მიზანს მაინც მივაღწევთ. ბუნებრივია, მზადების პერიოდში იქნება წარუმატებლობებიც. სხვათა შორის, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ შეხვდება ამას ხალხი, თუმცა უკვე განვაცხადე, რომ სწავლისთვის საჭიროა ვეთამაშოთ ისეთ გუნდებს, როგორებიც არიან იტალია, ინგლისი, გერმანია და სხვანი. მათთან შეხვედრებში შედეგს მნიშვნელობა არ აქვს.

**— სამხრეთაფრიკელ ახალგაზრდებზე რას გვეტყვით?**

— ო, ეს ძალიან სამწუხარო ამბავია. სამხრეთ აფრიკაში ახალგაზრდათა აღზრდის პროგრამა საერთოდ არ აქვთ. დაუჯერებელია, მაგრამ 16, 18 და 20-წლამდელთა ლიგები უბრალოდ არ არსებობს, ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, ყოველი უქმი დღე დაკარგულია. 20 წლამდელებს მაინც უნდა ვუშველოთ. ის ფეხბურთელები, რომლებიც დღეს ამ ასაკს ერგებიან, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სწორედ ჩვენთვის საჭირო ხნისანი იქნებიან და მათი ნაწილი ეროვნულ ნაკრებში უნდა იყოს. ვაღიარებ, 12 წლის ბავშვების შეჯიბრების მოწყობა 2010 წლისთვის არაფერს მმატებს, მაგრამ თუ სამხრეთაფრიკული ფეხბურთის განვითარებას ვაპირებთ, ესეც აუცილებელია. უპირველეს ყოვლისა, საფუძველი უნდა ჩაიყაროს.

**— სამხრეთ აფრიკაში რამდენი ხნის გატარებას აპირებთ?**

— ბრაზილიაში მხოლოდ ივლისში დავბრუნდები, როდესაც აქ ჩემპიონატი წყდება.

**— თქვენს სამწვრთნელო შტაბში ბრაზილიიდან თუ აპირებთ ვინმეს მიწვევას?**

— ასისტენტის და ფიზიოთერაპევტის. აუცილებლად დამჭირდება სამხრეთაფრიკელი მწვრთნელიც.

**— როგორი გუნება-განწყობაა აფრიკელთა ქვეყანაში?**

— ყველა შემართულია. ეჭვი არ არის, ძალიან კარგ ჩემპიონატს ჩაატარებენ, თუმცა, ალბათ, გერმანიაში წლეულს ჩატარებულისგან ძალიან განსხვავებულიც იქნება. ისტორიული და კულტურული ასპექტებით ამ ორ ქვეყანას ერთმანეთს ვერც შეადარებ. აქაურები განვითარებას მოწყურებულნი არიან. ხალხს სურს, დანარჩენ მსოფლიოს სიურპრიზი მოუწყოს.

**— ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებთა მწვრთნელობას შორის უმთავრესად რა განსხვავებაა?**

— ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობა, მართალი გითხრათ, სპეციფიკური საქმეა. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია ჩინებულად ორგანიზებული დაწესებულებაა, საუცხოო ინფრასტრუქტურით. ამ კუთხით სადმე უკეთესი არა მგონია, არსებობდეს. შესაბამისად, შენც იმდაგვარი სტანდარტით უნდა იმუშაო. გარდა ამისა, ბრაზილიაში მწვრთნელის განკარგულებაში საგანგებო თვისებების ფეხბურთელები იყრიან თავს. იქ სიმდიდრე და სიჭარბეა, სამხრეთ აფრიკაში კი ეს ყველაფერი ჯერ კიდევ დასამკვიდრებელია.

**— ასე რომ, თქვენ თავიდან საბაზისო საკითხებზე მოგიწევთ მუშაობა...**

— იცით, რვა წელიწადი ქუვეითში ვმუშაობდი. მაშინ ქუვეითელი ფეხბურთელები ქვეყნიდან არ გადიოდნენ და მთელი ეს ხანი ერთად ვვარჯიშობდით. იქ ამ მეთოდით მივაღწიეთ კარგ შედეგს, სამხრეთ აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელები. კი საზღვარგარეთ თამაშობენ, ანუ ერთად მუშაობისთვის ბევრი დრო ნამდვილად არ გვექნება. სხვათა შორის, იმავე პრობლემის წინაშე ვიდექით ბრაზილიაშიც. ერთი სიტყვით, ჩვენთვის უმთავრესი გუნდური სამუშაო იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ განვითარებისა და დისციპლინის თვალსაზრისით აფრიკელები 20 წლის წინანდელთან შედარებით გაცილებით წინ იქნებიან. მაშინ, როდესაც ქუვეითში ვმუშაობდი, აფრიკული გუნდები ბევრს და ჩქარა დარბოდნენ, ახლა კი ამ კონტინენტზე არსებობს კამერუნი, ნიგერია და კოტ დივუარი. ამ ქვეყნებმა ევროპაში უამრავი ფეხბურთელი წარგზავნეს, საიდანაც დისციპლინით დაბრუნდნენ შინ. ეს უმნიშვნელოვანესი რამ გახლავთ, თუმცა, ბუნებრივია, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს ხაზი არ უნდა გადავუსვათ.

# ყველა ერთად ნუ შემოხვალთ!

**სერბეთის** ნაკრების მწვრთნელი ხავიერ კლემენტე მომავალ შვიდ დღეში თავისი შეგირდებისგან 6 ქულას ელის. 7 ოქტომბერს სერბეთს ბელგია ესტუმრება, ხოლო ოთხი დღის მერე სომხეთი. ბუნებრივია, 56 წლის ბასკის ამოცანა სერბების ევრო 2008-ზე გაყვანაა და ამისთვის საშინაო შეხვედრებში ქულების აღება აუცილებელია.

„ვფიქრობ, რეალურია ბელგიასთან და სომხეთთან 6 ქულაზე ფიქრი. ჩვენ ეს გვჭირდება და იმედია, ორივე მატჩს მოვიგებთ. ახალგაზრდული ნაკრებიდან რამდენიმე მოთამაშის გამოძახება მინდოდა, მაგრამ მათ შვედებთან ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა ელით და ახლა იქ უფრო საჭირო არიან“ — განაცხადა კლემენტემ.

გამოცდილი ესპანელის თავკაცობით სერბეთმა უკვე სამი მატჩი ჩაატარა. ამხანაგურ შეხვედრაში მოუგო ჩეხეთს 3:1, ხოლო ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებში სძლია აზერბაიჯანს 1:0 და პოლონეთთან 1:1 ითამაშა. ასე რომ, მუნდიალის შემდეგ ილია პეტკოვიჩის ნაცვლად მისული კლემენტეს შედეგები ჯერ არცთუ ცუდია. მით უმეტეს, რომ მან ნაკრების გაახალგაზრდავება დაიწყო და საკმაოდ ბევრ გამოუცდელ მოთამაშეს უხმო, რომლებმაც ქომაგებს თავი მოაწონეს.

„ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო — აგრძელებს კლემენტე — ამ სამ შეხვედრაში მრავალი კარგი რამ გამოჩნდა, მაგრამ ყველაფრის დახვეწა გვმართებს, რათა გუნდურად უკეთ ავთამაშდეთ. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ.

სერბთა ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა მატეა კეჟმანმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და მის ნაკრებში დაბრუნებას ელოდნენ, მაგრამ კლემენტემ იგი არ გამოიძახა. მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის „ატლეტიკოდან“ თურქულ „ფენერბაჰჩეში“ გადასული ფორვარდი კარგად ათამაშდა.

„ძალიანაც რომ მინდოდეს, ყველას ერთად ვერ გამოვიძახებ, მაგრამ შანსი ნებისმიერს ექნება. თანაც ზოგიერთ პოზიციაზე დიდი კონკურენციაა“ — განაცხადა კლემენტემ.

**ძოძი ძანდელაძი**



ხავიერ კლემენტე

# ხრისტომ ნარინჯისფერი ფილმი ოთხჯერ ნახა



**ბულგარეთის** ნაკრების მწვრთნელი ხრისტო სტოიჩკოვი მიიჩნევს, რომ ჰოლანდიასთან მისი გუნდის შეხვედრა ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია და ქულითაც კმაყოფილი იქნება. სტოიჩკოვმა ერთვნული ნაკრები მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე ვერ გაიყვანა და ახლა ძალიან უნდა, ბულგარელები ევრო 2008-ზე მოახვედროს. სხვათა შორის, ამის კარგი შანსიც აქვს, რადგან ჰოლანდიის გარდა, ჯგუფში მეტოქეებად რუმინეთი, სლოვენია, ალბანეთი, ბელარუსი და ლუქსემბურგი ჰყავს, რომლებთანაც ჭიდილი და მეორე ადგილისთვის ბრძოლა თავისუფლად შეუძლია.

7 ოქტომბერს ჰოლანდია სოფიას ესტუმრება, ხოლო ოთხი დღის მერე ბულგარელები ლუქსემბურგს ეწვევიან. ამ მატჩებიდან სტოიჩკოვი სულ მცირე, 4 ქულის აღებას გეგმავს.

„ამ შესარჩევ ეტაპზე ეს ჩვენი უმნიშვნელოვანესი მატჩია. კარგად ვხვდებით, რომ ჰოლანდიასთან მოგების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატამდე ერთი ნაბიჯი დაგვრჩება. 3 ქულისთვის ვითამაშებთ, მაგრამ ფრეზეც ყაბულს ვიქნები, რადგან ეს შანსებს შეგვინარჩუნებს. მომავალი ორი მატჩიდან 4 ქულა დაგვაკმაყოფილებს. მეტოქეებთან შედარებით იოლი კალენდარი გვრჩება“ — თქვა სტოიჩკოვმა.

ბულგარელებს დააკლდებათ ტრავმირებული ნახევარმცველი ბლაგოი გეორგიევი. სამაგიეროდ, მომჯობინდა ნაკრების მთავარმეგოლე დიმიტარ ბერბატოვი, რომელსაც 50 მატჩში 31 გოლი აქვს გატანილი.

ხრისტო სტოიჩკოვი: „მიხარია, რომ დიმიტარი მინდორს დაუბრუნდა. იგი ბრწყინვალე ფორვარდია და იმედია, ჰოლანდიასაც გაუტანს. „ნარინჯისფერთა“ ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხის ვიდეოჩანაწერი ვნახე. ცხადია, მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ ჩვენ არაფრის არ გვეშინია, რადგან თავადაც ჩინებული მოთამაშეები გვყავს“.

**ძოძი ძანდელაძი**

# ბრძოლა სკამიდან ასადგომად



**დევიდ ბექჰემმა** გაორმაგებული ძალითა და ღონით დაიწყო ვარჯიში — ფაბიო კაპელოსთან ბრძოლას მხოლოდ ასე თუ მიიყვანს გამარჯვებამდე. საქმე კი ის გახლავთ, რომ მადრიდის „რეალის“ ინგლისელმა ვარსკვლავმა „სამეფო გუნდის“ შემადგენლობაში ბოლო ოთხი თამაში სათადარიგოთა სკამზე დაიწყო, მოედანზე მის ჩვეულ საქმეს კი ხოსე ანტონიო რეიესი აკეთებდა. მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ბექჰემისთვის სათადარიგოთა სკამზე ჯდომა დიდი პრობლემაა, რამეთუ ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტნისთვის 2003 წლის ანუ მადრიდში გადასვლის შემდეგ რეზერვი ერთხელაც არ უკადრებიათ.

„იძულებული ვარ ახალი მდგომარეობა ვაღიარო და გაორმაგებული ძალით ვივარჯიშო, რათა კაპელოს ნდობა დავიმსახურო — თქვა სახელგანთქმულმა ნახევარმცველმა — ვერავის ვუჩივლებ მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობაში რომ არ მათამაშებს. აქ, სათადარიგოთა სკამზე ჩემნაირ დღეში სხვებიც არიან“.

და მართლაც, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ბოლო თამაშის მაგალითი რომ განვიხილოთ, ვნახავთ, რომ კაპელოს რონალდო, რობინიო და ანტონიო კასანოც სათადარიგოთა სკამზე ესხდნენ.

მეორე მხრივ ცხადია, რომ ბექჰემს ადრე თუ გვიან ძირითადში გამოსვლა მოუწევს, რადგან კაპელომ განაცხადა, რომ როტაციის პრინციპს მიმართავს. შემადგენლობაში აუცილებლად ვიხილავთ რონალდოსაც, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა რეაბილიტაციის კურსს გადის. ბრუნდება მუხლნატკენი მიჩელ სალგადოც.

„ახლა, სანაკრებო თამაშების გამო ჩემპიონატში დასვენებაა, რაც ძალიან კარგია, რადგან ზოგი ფეხბურთელი ფიზიკურ ფორმას აღიდგენს“ — თქვა ბექჰემმა, რომელსაც „რეალთან“ კონტრაქტი მომავალ ზაფხულს გაუდის და როგორც ამბობენ, ახლის შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებებს.

**ბაბუნა ძედია**

## ინგლისი

პრემიერლიგა
VII ტური

**უოტფორდი 3:3 ფულემი**

1:0 კინგი (23), 2:0 იანგი (46), 2:1 მაკბრაიდი (71), 2:2 ჰელგუსონი (83), 2:3 ფრენსისი (87ს.კ.), 3:3 იანგი (89)
**უოტფორდი:** ფოსტერი, დე მერიტი, შიტუ, მაკეი, სტიუარტი, იანგი, მაჰოუნი, ფრენსისი (ჰრეიდარსონი 89), ბუაზა, კინგი, ჯ. სმიტი (სპრინგი 76)
მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი
**ფულემი:** ნიემი, როსენიორი, ნაითი, პირსი, კედრუ, ვოლცი (რაძინსკი 62), დიოპი, ბრაუნი, ბოკანეგრა (რუტლეჯი 53), ჰელგუსონი, ჯონი (მაკბრაიდი 59)
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: მაჰოუნი, ჰელგუსონი, პირსი, რაძინსკი
მსაჯი: რაილი
17 982 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 7 | 5 | 1 | 1 | 14:4 | 16 |
| ჩელსი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:4 | 16 |
| ბოლტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 7:3 | 14 |
| პორტსმუთი | 7 | 4 | 1 | 2 | 10:3 | 13 |
| ევერტონი | 7 | 3 | 4 | 0 | 12:6 | 13 |
| ასტონ ვილა | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | 13 |
| რედინგი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 |
| ბლექბერნი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:9 | 11 |
| ლივერპული | 7 | 3 | 1 | 3 | 8:8 | 10 |
| ფულემი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:12 | 9 |
| სიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | 8 |
| ნიუკასლი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 7 |
| ტოტენჰემი | 7 | 2 | 1 | 4 | 4:9 | 7 |
| უიგანი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ვესტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:10 | 5 |
| მიდლსბრო | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| შეფილდი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| უოტფორდი | 7 | 0 | 4 | 3 | 7:10 | 4 |
| ჩარლტონი | 7 | 1 | 0 | 6 | 5:13 | 3 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი
X ტური

**ამიენი 1:0 ბასტია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 10 | 7 | 2 | 1 | 14:5 | 23 |
| კაენი | 10 | 6 | 4 | 0 | 17:8 | 22 |
| გრენობლი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:9 | 21 |
| შატორუ | 10 | 5 | 4 | 1 | 17:12 | 19 |
| ლე ავრი | 10 | 4 | 5 | 1 | 20:12 | 17 |
| სტრასბური | 10 | 4 | 5 | 1 | 13:6 | 17 |
| რეიმსი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:6 | 17 |
| ამიენი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:12 | 14 |
| ბასტია | 10 | 4 | 2 | 4 | 17:17 | 14 |
| დიჟონი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:12 | 13 |
| აიაჩო | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | 11 |
| ლიბურნი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| ნიორი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:15 | 11 |
| მონპელიე | 10 | 3 | 1 | 6 | 15:15 | 10 |
| გენიონი | 10 | 3 | 1 | 6 | 10:20 | 10 |
| ისტრი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:17 | 9 |
| ბრესტი | 10 | 1 | 5 | 4 | 10:13 | 8 |
| ტურსი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | 8 |
| კრეტეი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:15 | 7 |
| გენგამი | 10 | 1 | 3 | 6 | 10:13 | 6 |

## შვედეთი

ალსვენსკა
XXI ტური

**ელფსბორგი 0:0 იოსტერსი**
**ჰამარბი 2:2 მალმიო**
**იორგრიტე 0:0 აიკ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 21 | 10 | 10 | 1 | 37:17 | 40 |
| აიკ | 21 | 11 | 7 | 3 | 35:19 | 40 |
| ჰამარბი | 21 | 10 | 5 | 6 | 36:30 | 35 |
| ჰელსინგბორგი | 21 | 9 | 7 | 5 | 35:25 | 34 |
| იურგორდენი | 21 | 9 | 6 | 6 | 25:20 | 33 |
| გიოტებორგი | 21 | 8 | 8 | 5 | 35:25 | 32 |
| კალმარი | 21 | 9 | 5 | 7 | 30:23 | 32 |
| მალმიო | 21 | 8 | 7 | 6 | 36:31 | 31 |
| გეფლე | 21 | 7 | 5 | 9 | 22:32 | 26 |
| გაის | 21 | 5 | 9 | 7 | 22:27 | 24 |
| ჰალმსტადი | 21 | 4 | 9 | 8 | 19:28 | 21 |
| ჰეკენი | 21 | 3 | 7 | 11 | 23:37 | 16 |
| იორგრიტე | 21 | 3 | 6 | 12 | 19:35 | 15 |
| იოსტერსი | 21 | 3 | 5 | 13 | 14:39 | 14 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა
VI ტური

**ჰანზა 1:0 დუისბურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 6 | 4 | 2 | 0 | 15:7 | 14 |
| ჰანზა | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| კიოლნი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:7 | 12 |
| მიუნხენი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 12 |
| დუისბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| პადერბორნი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| ლაუტერნი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| ფიურტი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:9 | 8 |
| ესენი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| კობლენცი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| კარლ ცაისი | 6 | 1 | 4 | 1 | 10:11 | 7 |
| აუე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | 7 |
| აუგსბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ფრაიბურგი | 6 | 0 | 4 | 2 | 6:10 | 4 |
| ბურგჰაუზენი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:17 | 4 |
| უნტერჰახინგი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:6 | 3 |
| ოფენბახი | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | 3 |
| ბრაუნშვაიგი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

## იტალია

სერია B
V ტური

**ტრიესტინა 0:0 მანტოვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ლეჩე | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ჩეზენა | 5 | 2 | 3 | 0 | 9:6 | 9 |
| ჯენოა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| რიმინი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| ნაპოლი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| მანტოვა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ბარი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ტრევიზო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| ბოლონია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ალბინოლეფე | 5 | 1 | 3 | 1 | 4:5 | 6 |
| პიაჩენცა | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| ტრიესტინა | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 5 |
| სპეცია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ფროზინონე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ვერონა | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| მოდენა | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | 5 |
| კროტონე | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | 3 |
| პესკარა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |
| ვიჩენცა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:7 | 1 |
| არეცო | 5 | 0 | 4 | 1 | 1:2 | -2 |
| იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:2 | -4 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 17 ქულა*

## პორტუგალია

სუპერლიგა
V ტური

**სპორტინგი 2:0 ლეირია**
1:0 ნანი (33), 2:0 ლიდსონი (57პ)
**სეტუბალი 1:1 ფერეირა**
1:0 მ. კარლოსი (26), 1:1 რონი (74)
**ბრაგა 2:1 პორტუ**
1:0 მზრსელი (27), 1:1 პოშტიგა (42), 2:1 ფილიპე (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| სპორტინგი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:3 | 12 |
| ნავალი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| ბრაგა | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| ფერეირა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ბოავიშტა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| ბენფიკა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| მარიტიმუ | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| ლეირია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ნასიონალი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:4 | 6 |
| ბელენენსეში | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბეირა მარი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | 5 |
| სეტუბალი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| აკადემიკა | 5 | 0 | 3 | 2 | 6:9 | 3 |
| ავეში | 5 | 0 | 2 | 3 | 3:9 | 2 |
| ამადორა | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |

## რუსეთი

პრემიერლიგა. XXII ტური

**ტორპედო 2:1 ლუჩ-ენერგია**
1:0 გოლუბოვი (20), 1:1 აჯინჯალე (56პ), 2:1 ჯოკიჩი (84)
**რუბინი 2:4 ლოკომოტივი**
1:0 ბაირამოვი (5), 1:1 სიჩოვი (27), 1:2 ლოსკოვი (31), 2:2 ბაირამოვი (53), 2:3 ლოსკოვი (65პ), 2:4 ბილიალეტდინოვი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 22 | 12 | 7 | 3 | 40:23 | 43 |
| ცსკა | 22 | 12 | 6 | 4 | 35:21 | 42 |
| სპარტაკი მ. | 22 | 10 | 10 | 2 | 45:27 | 40 |
| ზენიტი | 22 | 10 | 9 | 3 | 33:21 | 39 |
| მოსკვა | 22 | 7 | 11 | 4 | 33:26 | 32 |
| სატურნი | 22 | 6 | 13 | 3 | 25:16 | 31 |
| სპარტაკი ნ. | 22 | 8 | 6 | 8 | 27:27 | 30 |
| კრილია | 22 | 7 | 7 | 8 | 30:29 | 28 |
| ტომი | 22 | 7 | 7 | 8 | 25:24 | 28 |
| როსტოვი | 22 | 8 | 4 | 10 | 34:38 | 28 |
| რუბინი | 21 | 7 | 7 | 7 | 23:29 | 28 |
| ლუჩ-ენერგია | 21 | 7 | 4 | 10 | 24:28 | 25 |
| ამკარი | 22 | 5 | 9 | 8 | 16:28 | 24 |
| დინამო | 22 | 3 | 9 | 10 | 19:31 | 18 |
| ტორპედო | 22 | 3 | 9 | 10 | 17:30 | 18 |
| შინიკი | 22 | 1 | 6 | 15 | 11:39 | 9 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. IX ტური

**სლავია 0:0 სპარტა**
**ლიბერეცი 4:1 კლადნო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 9 | 7 | 2 | 0 | 16:2 | 23 |
| ბოლესლავი | 9 | 7 | 1 | 1 | 15:4 | 22 |
| სპარტა | 9 | 4 | 4 | 1 | 9:5 | 16 |
| სლავია | 9 | 4 | 2 | 3 | 12:7 | 14 |
| ბრნო | 9 | 3 | 5 | 1 | 5:3 | 14 |
| ბუდეიოვიცე | 9 | 4 | 2 | 3 | 7:9 | 14 |
| იაბლონეცი | 9 | 3 | 4 | 2 | 7:7 | 13 |
| ტეპლიცე | 9 | 3 | 3 | 3 | 14:12 | 12 |
| პლზენი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | 12 |
| ბანიკი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:13 | 11 |
| მოსტი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:14 | 10 |
| ზლინი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:10 | 8 |
| კლადნო | 9 | 2 | 2 | 5 | 7:16 | 8 |
| სიგმა | 9 | 2 | 1 | 6 | 8:15 | 7 |
| პრჟიბრამი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:12 | 6 |
| სლოვაცკო | 9 | 1 | 2 | 6 | 6:12 | 5 |

## თურქეთი

სუპერლიგა. VIII ტური

**ანკარაგიუჯიუ 2:2 ტრაბზონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანისა | 8 | 6 | 2 | 0 | 18:4 | 20 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 5 | 1 | 2 | 17:7 | 16 |
| ბეშიქთაში | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 13 |
| ქაისერი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 13 |
| ტრაბზონი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:10 | 12 |
| გალათასარაი | 8 | 2 | 5 | 1 | 15:12 | 11 |
| ანკარა | 8 | 2 | 5 | 1 | 10:8 | 11 |
| ბურსა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| გენჩლერი | 8 | 3 | 2 | 3 | 7:12 | 11 |
| გაზიანთეფი | 8 | 2 | 4 | 2 | 11:11 | 10 |
| ქონია | 8 | 2 | 4 | 2 | 9:9 | 10 |
| ანთალია | 8 | 2 | 4 | 2 | 8:9 | 10 |
| საქარია | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | 9 |
| რიზე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:10 | 8 |
| სივა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:12 | 8 |
| დენიზლი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 6 |
| ერჟიესი | 8 | 1 | 3 | 4 | 8:22 | 6 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 0 | 5 | 3 | 7:10 | 5 |

## ნორვეგია

ტიპელიგა. XXII ტური

**ბრანი 1:0 ოდ გრენლანდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 22 | 13 | 6 | 3 | 38:20 | 45 |
| ბრანი | 22 | 13 | 4 | 5 | 36:25 | 43 |
| ლილესტრიომი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:30 | 37 |
| სტარტი | 22 | 9 | 6 | 7 | 25:26 | 33 |
| ვოლერენგა | 22 | 9 | 5 | 8 | 32:26 | 32 |
| სტაბეკი | 22 | 8 | 8 | 6 | 34:29 | 32 |
| ლინი | 22 | 8 | 5 | 9 | 27:28 | 29 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:30 | 29 |
| ჰამ კამი | 22 | 7 | 5 | 10 | 31:30 | 26 |
| ფრედრიკსტადი | 22 | 6 | 7 | 9 | 32:40 | 25 |
| სანდეფიორდი | 22 | 7 | 4 | 11 | 31:42 | 25 |
| მიოლდე | 22 | 7 | 3 | 12 | 26:35 | 24 |
| ვიკინგი | 22 | 6 | 5 | 11 | 23:31 | 23 |
| ტრომსიო | 22 | 5 | 5 | 12 | 26:34 | 20 |

რეკლამა
სარბიელ–ში
38-11-14, 877 54 55 00

# უეფას თასი 2006-2007. ჯგუფური ეტაპი

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოსერი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | რეინჯერსი (შოტლანდია) | | | | | | | | | | | |
| 3 | პარტიზანი (სერბეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ლივორნო (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 5 | მაკაბი (ისრაელი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | ლივორნო — რეინჯერსი<br>მაკაბი — ოსერი |
| 2 ნოემბერი | რეინჯერსი — მაკაბი<br>პარტიზანი — ლივორნო |
| 23 ნოემბერი | ოსერი — რეინჯერსი<br>მაკაბი — პარტიზანი |
| 29 ნოემბერი | პარტიზანი — ოსერი<br>ლივორნო — მაკაბი |
| 14 დეკემბერი | ოსერი — ლივორნო<br>რეინჯერსი — პარტიზანი |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევერკუზენი (გერმანია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ბრიუგე (ბელგია) | | | | | | | | | | | |
| 3 | ბეშიქთაში (თურქეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | დინამო (რუმინეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ტოტენჰემი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | ბეშიქთაში — ტოტენჰემი<br>ბრიუგე — ლევერკუზენი |
| 2 ნოემბერი | ტოტენჰემი — ბრიუგე<br>დინამო — ბეშიქთაში |
| 23 ნოემბერი | ლევერკუზენი — ტოტენჰემი<br>ბრიუგე — დინამო |
| 29 ნოემბერი | დინამო — ლევერკუზენი<br>ბეშიქთაში — ბრიუგე |
| 14 დეკემბერი | ლევერკუზენი — ბეშიქთაში<br>ტოტენჰემი — დინამო |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სევილია (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | ალკმაარი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 3 | ლიბერეცი (ჩეხეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | გრასჰოპერი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ბრაგა (პორტუგალია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | ალმაარი — ბრაგა<br>ლიბერეცი — სევილია |
| 2 ნოემბერი | ბრაგა — ლიბერეცი<br>გრასჰოპერი — ალკმაარი |
| 23 ნოემბერი | სევილია — ბრაგა<br>ლიბერეცი — გრასჰოპერი |
| 29 ნოემბერი | გრასჰოპერი — სევილია<br>ალკმაარი — ლიბერეცი |
| 14 დეკემბერი | სევილია — ალკმაარი<br>ბრაგა — გრასჰოპერი |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პარმა (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ლანსი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ჰერენვენი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ოსასუნა (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ოდენსე (დანია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | ოსასუნა — ჰერენვენი<br>ოდენსე — პარმა |
| 2 ნოემბერი | ჰერენვენი — ოდენსე<br>ლანსი — ოსასუნა |
| 23 ნოემბერი | პარმა — ჰერენვენი<br>ოდენსე — ლანსი |
| 29 ნოემბერი | ლანსი — პარმა<br>ოსასუნა — ოდენსე |
| 14 დეკემბერი | პარმა — ოსასუნა<br>ჰერენვენი — ლანსი |

| № | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფეიენოორდი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 2 | ბაზელი (შვეიცარია) | | | | | | | | | | | |
| 3 | ვისლა (პოლონეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ბლეკბერნი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ნანსი (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | ვისლა — ბლექბერნი<br>ბაზელი — ფეიენოორდი |
| 2 ნოემბერი | ბლექბერნი — ბაზელი<br>ნანსი — ვისლა |
| 23 ნოემბერი | ფეიენოორდი — ბლექბერნი<br>ბაზელი — ნანსი |
| 30 ნოემბერი | ნანსი — ფეიენოორდი<br>ვისლა — ბაზელი |
| 13 დეკემბერი | ფეიენოორდი — ვისლა<br>ბლექბერნი — ნანსი |

| № | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი (ჰოლანდია) | | | | | | | | | | | |
| 2 | სპარტა (ჩეხეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | ესპანიოლი (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | აუსტრია (ავსტრია) | | | | | | | | | | | |
| 5 | ზულტე-ვარეგემი (ბელგია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | აუსტრია — ზულტე-ვარეგემი<br>სპარტა — ესპანიოლი |
| 2 ნოემბერი | ზულტე-ვარეგემი — სპარტა<br>აიაქსი — აუსტრია |
| 23 ნოემბერი | ესპანიოლი — ზულტე-ვარეგემი<br>სპარტა — აიაქსი |
| 30 ნოემბერი | აიაქსი — ესპანიოლი<br>აუსტრია — სპარტა |
| 13 დეკემბერი | ესპანიოლი — აუსტრია<br>ზულტე-ვარეგემი — აიაქსი |

| № | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | | | | | | | | | | | |
| 2 | პსჟ (საფრანგეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | რაპიდი (რუმინეთი) | | | | | | | | | | | |
| 4 | ჰაპოელი ( ისრაელი) | | | | | | | | | | | |
| 5 | ბოლესლავი (ჩეხეთი) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | პანათინაიკოსი — ჰაპოელი<br>რაპიდი — პსჟ |
| 2 ნოემბერი | ჰაპოელი — რაპიდი<br>ბოლესლავი — პანათინაიკოსი |
| 23 ნოემბერი | პსჟ — ჰაპოელი<br>რაპიდი — ბოლესლავი |
| 30 ნოემბერი | ბოლესლავი — პსჟ<br>პანათინაიკოსი — რაპიდი |
| 13 დეკემბერი | პსჟ — პანათინაიკოსი<br>ჰაპოელი — ბოლესლავი |

| № | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნიუკასლი (ინგლისი) | | | | | | | | | | | |
| 2 | სელტა (ესპანეთი) | | | | | | | | | | | |
| 3 | პალერმო (იტალია) | | | | | | | | | | | |
| 4 | ფენერბაჰჩე (თურქეთი) | | | | | | | | | | | |
| 5 | აინტრახტი (გერმანია) | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| 19 ოქტომბერი | აინტრახტი — პალერმო<br>ნიუკასლი — ფენერბაჰჩე |
| 2 ნოემბერი | პალერმო — ნიუკასლი<br>სელტა — აინტრახტი |
| 23 ნოემბერი | ფენერბაჰჩე — პალერმო<br>ნიუკასლი — სელტა |
| 30 ნოემბერი | სელტა — ფენერბაჰჩე<br>აინტრახტი — ნიუკასლი |
| 13 დეკემბერი | ფენერბაჰჩე — აინტრახტი<br>პალერმო — სელტა |

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **I ლიგა** | | | | | | |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 2 | იოვილი-ჩელტენემი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 22:45 | 3 | დონკასტერი-ოლდემი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 4 | სუონსი-ტრანმერი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 22:45 | 5 | ბორნმუთი-ნორთჰემპტონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:15 | 6 | ნოტინგემი-სკანთორპი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 16:00 | 7 | ბრედფორდი-ჰადერსფილდი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| 18:00 | 8 | ლეიტონი-ჩესტერფილდი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 16:00 | 9 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 17:00 | 10 | კარლაილი-მილუოლი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| 18:00 | 11 | ქრიუ-ჯილინგემი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 12 | ბრაიტონი-ბლეკპული | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 17:00 | 13 | პორტ ვეილი-როტერჰემი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **II ლიგა** | | | | | | |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:30 | 14 | დარლინგტონი-როჩდეილი | 1.90 | 3.20 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 22:45 | 15 | ჩესტერი-უოლსოლი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 16 | უიკომბი-ტორკი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:45 | 17 | ლინკოლნი-ჰარტლპული | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 18 | დონსი-პიტერბრო | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| 22:45 | 20 | შრიუსბერი-მაკლსფილდი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 19 | მენსფილდი-ნოტსი | 2.50 | 3.00 | 2.60 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 18:00 | 21 | აკრინგტონი-სუინდონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 22 | როვერსი-ბოსტონი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 23 | სტოკპორტი-ბარნეტი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 25 | გრიმსბი-ჰერეფორდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **კონფერენსი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 33 | ვეიმუთი-გრეივსენდი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 55 | სიონი-გრასჰოპერი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 21:45 | 56 | ციურიხი-ლუცერნი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:30 | 133 | პეტრჟალკა-დუბნიცა | 1.45 | 4.00 | 6.00 | 1.06 | 1.16 | 2.40 |
| 16:30 | 135 | ინტერი-ბ.ბისტრიცა | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| 19:30 | 137 | სინეცი-სლოვანი | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 19:30 | 138 | ტრენჩინი-რუჟომბეროკი | 2.95 | 3.00 | 2.25 | 1.48 | 1.27 | 1.28 |
| | | **დანია** | | | | | | |
| | | **სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 139 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2.15 | 3.30 | 3.10 | 1.30 | 1.26 | 1.59 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 143 | ბრინი-ტრომსდალენი | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 17:00 | 144 | ფოლო-მოსი | 2.40 | 3.70 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| 17:00 | 145 | ჰიოდი-ლოვ ჰამი | 2.40 | 3.70 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| 17:00 | 146 | კონგსვინგერი-ჰაუგესუნდი | 1.75 | 3.70 | 4.00 | 1.18 | 1.21 | 1.92 |
| 17:00 | 147 | ჰიონეფოსი-სპარტა ს | 2.00 | 3.70 | 3.10 | 1.29 | 1.21 | 1.68 |
| 17:00 | 148 | მანგლერუდი-სოგნდალი | 2.40 | 3.70 | 2.45 | 1.45 | 1.21 | 1.47 |
| 21:00 | 149 | სტრიომსგოდსეტი-ალესუნდი | 2.00 | 3.30 | 3.45 | 1.24 | 1.26 | 1.68 |
| | | **9 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 150 | ბოდიო გლიმტი-პორს გრენლანდი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:45 | 160 | სტ.პატრიკსი-დროგედა | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 22:45 | 161 | დუბლინი-ბრეი | 1.60 | 3.40 | 5.10 | 1.08 | 1.21 | 2.03 |
| 22:45 | 162 | უოტერფორდი-შელბურნი | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 22:45 | 163 | დერი-ბოჰემიანი | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 22:45 | 164 | კორკი-ლონგფორდი | 1.33 | 4.30 | 7.50 | 1.01 | 1.12 | 2.73 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 199 | ჟუვენტუდი-ატლეტიკო პრ | 1.80 | 3.40 | 3.90 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 23:45 | 200 | პარანა-პონტე პრეტა | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:45 | 201 | ფორტალესა-ფიგეირენსე | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 202 | ფლამენგო-ფლუმინენსე | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 203 | გრემიო-პალმეირასი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 23:45 | 204 | სან კაეტანო-გოიასი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 205 | სან პაულუ-ვასკუ და გამა | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 206 | ბოტაფოგო-სანტა კრუზი | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:45 | 207 | კრუზეირო-ინტერნასიონალი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 208 | კორინთიანსი-სანტოსი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:20 | 241 | იაპონია-განა | 1.95 | 3.10 | 3.70 | 1.19 | 1.27 | 1.68 |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 242 | ლიხტენშტაინი-ავსტრია | 11.00 | 4.70 | 1.20 | 3.29 | 1.08 | 1.00 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 243 | კუვეიტი-ბრაზილია | 15.00 | 6.00 | 1.13 | 4.28 | 1.05 | 1.00 |
| | | **8 ოქტომბერი** | | | | | | |
| 13:30 | 244 | ავსტრალია-პარაგვაი | 2.10 | 3.00 | 3.25 | 1.23 | 1.27 | 1.55 |
| 14:00 | 245 | სამხრეთ კორეა-განა | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 246 | იამაიკა-კანადა | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **თასი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:00 | 545 | ელჩე-ვალიადოლიდი | 2.45 | 2.90 | 2.80 | 1.32 | 1.30 | 1.42 |
| 23:00 | 546 | რაიო-პუერტოლანო | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| 23:30 | 547 | პორტუენსე-ლინარესი | 2.00 | 2.80 | 3.80 | 1.16 | 1.31 | 1.61 |
| 22:00 | 548 | პენა-ალკოიანო | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 22:00 | 549 | ჰერკულესი-ლას პალმასი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 23:00 | 550 | ეხიდო-ალავესი | 2.45 | 2.80 | 2.80 | 1.30 | 1.30 | 1.39 |
| 23:30 | 551 | ეჩიხა-ეიბარი | 2.45 | 2.80 | 2.85 | 1.30 | 1.31 | 1.41 |
| 22:45 | 552 | კასტელონი-კადისი | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| 22:30 | 553 | ბურგოსი-სეგოვია | 1.70 | 3.20 | 4.70 | 1.11 | 1.24 | 1.90 |
| 22:00 | 554 | ბადალონა-უნივერსიდადი ლპ | 2.60 | 2.70 | 2.75 | 1.32 | 1.33 | 1.36 |
| 23:30 | 555 | ალმერია-მალაგა | 2.60 | 2.80 | 2.80 | 1.34 | 1.34 | 1.39 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 300 | კაროლინა-ბუფალო | 1.70 | 4.40 | 2.50 | 1.22 | 1.01 | 1.59 |
| 23:45 | 301 | ტორონტო-ოტავა | 2.20 | 4.20 | 1.90 | 1.44 | 1.01 | 1.30 |
| 23:45 | 302 | კოლორადო-დალასი | 1.90 | 4.20 | 2.30 | 1.30 | 1.04 | 1.48 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 358 | ტაპარა-კალპა | 1.35 | 4.80 | 5.00 | 1.05 | 1.06 | 2.44 |
| | | **5 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 359 | ესეტი-სეიპა | 1.75 | 4.20 | 3.00 | 1.23 | 1.10 | 1.75 |
| 19:30 | 364 | იუვესკიულე-პელიკანსი | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 380 | ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 1.80 | 4.20 | 2.70 | 1.25 | 1.08 | 1.64 |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 373 | ტრჟინეცი-ზლინი | 2.05 | 4.20 | 2.30 | 1.37 | 1.08 | 1.48 |
| 19:00 | 374 | ვსეტინი-ვიტკოვიცე | 2.50 | 4.20 | 1.90 | 1.56 | 1.07 | 1.30 |
| 19:30 | 375 | ზნოიმო-ლიტვინოვი | 1.75 | 4.20 | 2.90 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| 19:30 | 376 | ბუდეიოვიცე-სპარტა | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 20:00 | 377 | კარლოვი ვარი-პლზენი | 2.00 | 4.20 | 2.30 | 1.35 | 1.06 | 1.48 |
| 20:30 | 378 | ლიბერეცი-კლადნო | 1.50 | 4.40 | 3.80 | 1.11 | 1.07 | 2.03 |
| 21:00 | 379 | სლავია-პარდუბიცე | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 417 | ციურიხი-ცუგი | 1.75 | 4.40 | 2.80 | 1.25 | 1.07 | 1.71 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:30 | 438 | აკ ბარსი-ასკ | 1.35 | 4.50 | 4.50 | 1.03 | 1.03 | 2.25 |
| 15:30 | 439 | ავანგარდი-ნოვოკუზნეცკი | 1.30 | 4.60 | 4.80 | 1.01 | 1.02 | 2.34 |
| 18:30 | 441 | კრილია-მაგნიტოგორსკი | 3.60 | 4.50 | 1.40 | 2.00 | 1.00 | 1.06 |
| 18:30 | 442 | ნეფტეხიმიკი-სევერსტალი | 1.75 | 4.50 | 2.80 | 1.25 | 1.07 | 1.72 |
| 10:00 | 443 | ამური-ტრაქტორი | 1.80 | 4.30 | 2.45 | 1.26 | 1.03 | 1.56 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები მეცი** | | | | | | |
| | | **4 ოქტომბერი** | | | | | | |
| 12:00 | 523 | გროსჟანი-ფ მაიერი | | | 1.45 | | | 2.30 |
| 12:00 | 524 | მალისი-კლემანი | | | 1.50 | | | 2.20 |
| 12:00 | 526 | საფინი-იუჟნი | | | 1.60 | | | 2.00 |
| | | **ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 219 | ბულგარეთი-ჰოლანდია | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| 22:15 | 220 | ხორვატია-ანდორა | 1.01 | 15.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 20:30 | 221 | კვიპროსი-ირლანდია | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 19:15 | 222 | ჩეხეთი-სან მარინო | 1.01 | 15.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 10.00 |
| 22:30 | 223 | საბერძნეთი-ნორვეგია | 2.05 | 3.10 | 3.50 | 1.23 | 1.29 | 1.64 |
| 21:45 | 224 | უნგრეთი-თურქეთი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 22:50 | 225 | იტალია-უკრაინა | 1.50 | 3.50 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.33 |
| 20:00 | 226 | მოლდოვა-ბოსნია | 2.85 | 3.00 | 2.35 | 1.46 | 1.28 | 1.31 |
| 23:45 | 227 | პორტუგალია-აზერბაიჯანი | 1.03 | 9.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 6.92 |
| 21:15 | 228 | რუმინეთი-ბელარუსი | 1.40 | 4.00 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.66 |
| 19:00 | 229 | რუსეთი-ისრაელი | 1.55 | 3.40 | 6.40 | 1.06 | 1.24 | 2.22 |
| 22:15 | 230 | სერბეთი-ბელგია | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 22:45 | 231 | სლოვენია-ლუქსემბურგი | 1.05 | 8.50 | 28.00 | 1.00 | 1.01 | 6.52 |
| 18:00 | 232 | უელსი-სლოვაკეთი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 19:00 | 233 | ყაზახეთი-პოლონეთი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 18:00 | 234 | ფარერები-ლიტვა | 10.00 | 4.40 | 1.30 | 3.05 | 1.15 | 1.00 |
| 20:00 | 235 | სომხეთი-ფინეთი | 5.90 | 3.70 | 1.55 | 2.27 | 1.22 | 1.09 |
| 20:00 | 236 | ინგლისი-მაკედონია | 1.08 | 8.00 | 22.00 | 1.00 | 1.02 | 5.86 |
| 20:00 | 237 | შოტლანდია-საფრანგეთი | 5.20 | 3.40 | 1.65 | 2.05 | 1.25 | 1.11 |
| 22:00 | 238 | შვედეთი-ესპანეთი | 2.75 | 3.10 | 2.45 | 1.45 | 1.29 | 1.36 |
| 22:00 | 239 | დანია-ჩრდ.ირლანდია | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 22:00 | 240 | ლატვია-ისლანდია | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| | | **ეჩ 2007 პლეი ოფი (21)** | | | | | | |
| | | **6 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 248 | ჩეხეთი(21)-ბოსნია(21) | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:00 | 249 | ინგლისი(21)-გერმანია(21) | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 23:00 | 251 | იტალია(21)-ესპანეთი(21) | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 252 | რუსეთი(21)-პორტუგალია(21) | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| 17:00 | 253 | სერბეთი(21)-შვედეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **7 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 247 | ბელგია(21)-ბულგარეთი(21) | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 23:00 | 250 | საფრანგეთი(21)-ისრაელი(21) | 1.25 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სკიტა და ნიუ იორკი: მეხუთე სეზონი, მეხუთე გუნდი

**თავის** მეხუთე ამერიკულ სეზონს ნიკოლოზ ცქიტიშვილი „ნიუ იოკრ ნიკსში“ დაიწყებს, რომელიც მისთვის უკვე მეხუთე ნბა-ური გუნდია მას შემდეგ, რაც 2002 წლის დრაფტზე „დენვერ ნაგეტსმა“ აირჩია. მაშ ასე — „დენვერის“, „გოლდენ სტეიტის“, „მინესოტას“ და „ფინიქსის“ შემდეგ „ნიუ იორკი“ მორიგი გუნდია, რომელიც ქართველი ფორვარდის არაჩვეულებრივი ალნაგობით, მოქნილობითა და მონაცემებით მოიხიბლა და მას მორიგ შანსს აძლევს.

ცქიტიშვილმა კონტრაქტი გუშინ გააფორმა, რომლის პირობებიც ნიუ იორკულ პრესაში არ ხმაურდება. თუმც რა გახმაურება სჭირდება — ქართველს არავინ მისცემდა ათეულობით მილიონს და ბითუმწლიან ხელშეკრულებასაც არ გაუფორმებდნენ. ცქიტიშვილი „ნიუ იორკმა“ აიყვანა ხურდაში, სამ უსახელო და სრულიად უცნობ კალათბურთელთან ერთად. ელტონ ბრაუნს, მილონ კლარკს და პოლ მილერს არასდროს უთამაშიათ ნბა-ში და არც დრაფტი გაუვლიათ, მაგრამ აიზია ტომასმა ეს ახალგაზრდა ბიჭები მაინც აიყვანა და ამათგან ერთ-ერთმა ოდნავაც რომ გაამართლოს, „ნიუ იორკი“ კმაყოფილი იქნება.

საქმე კი ისე იყო, თითქოს ცქიტიშვილი „სიეტლში“ მიდიოდა. კონტრაქტზე შეთანხმებული ვარ და სიეტლში რომ ჩავალ, კონტრაქტსაც გავაფორმებო, ამბობდა „ცქიტო“. „ზებგერითებმა“ საწვრთნელი კემპი გაშალეს ამ დღეებში და ქართველი არ დაპატიჟეს, ხოლო ცქიტიშვილი მოულოდნელად ნიუიორკელების კემპზე აღმოჩნდა. „ნიკსმა“ თავისი 14 კონტრაქტიანი მოთამაშე შეკრიბა, მათ ზემოთნახსენებნი 4 ახალგაზრდა დაუმატა და კემპის გახსნიდან მეორე დღეს ოთხივეს კონტრაქტი გაუფორმა.

ცქიტიშვილს ახალ გუნდში არცთუ დიდი კონკურენცია ხვდება. ყოველ შემთხვევაში მას არ მოუწევს ისეთ ვარსკვლავებთან მოედანზე ადგილის მოპოვებისთვის ბრძოლა, როგორებიც მინესოტელი კევინ გარნეტი და ფინიქსელი შონ მარიონი არიან. „ნიუ იორკს“ ფორვარდის პოზიციაზე არავინ ჰყავს ისეთი, ხსენებულ სუპერვარსკვლავებთან ახლოსაც რომ მივიდეს. ცქიტიშვილს ახალბედებთან და ჰა, ჰა ერთწლიანი გამოცდილების მქონე მოთამაშეებთან მოუხდება პაექრობა.

ესეც ასე — ნიკა ცქიტიშვილი ამჯერად „ნიუ იორკის“ მაისურით ეცდება საკუთარი ნიჭიერების დამტკიცებას და ნბა-ში საკუთარი თავის დამკვიდრებას, რაც, იმედია, ამჯერად მაინც გამოუვა.

**ირაკლი პერტაია**

# ვიყიდი და ვითამაშებ



**დამოუკიდებელი** ინვესტორების ჯგუფს, რომელშიც ყოფილი კალათბურთელი კრისტიან ლეიტნერი და მისი პარტნიორი დიუკის საუნივერსიტეტო გუნდიდან, ბრაიან დევისი შედიან, ნბა-ს გუნდ “მემფის გრიზლის“ 70%-ის ყიდვა გადაუწყვეტიათ.

შეთანხმება უკვე მიღწეულია „გრიზლის“-ის საკონტროლო პაკეტის მქონე ბიზნესმენ მაიკლ ჰეისლისთან — ლეიტნერსა და მის ჯგუფს კი ეს 70% დაახლოებით 360 მილიონი დოლარი დაუჯდებათ. თვითონ ლეიტნერისა და დევისის წილი 40 მილიონი იქნება — დანარჩენი კი მათ ბიზნეს-პარტნიორებზე მოდის.

მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, გარიგების პროცესში შეიძლება კიდევ რამდენიმე თვე გაგრძელდეს, იმიტომ რომ აშშ-ს კანონმდებლობით, დანარჩენი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ, სურვილის შემთხვევაში თვითონ შეისყიდონ გუნდი. მხოლოდ მათი უარის შემდეგ მიეცემა ლეიტნერის ჯგუფს გუნდის ყიდვის უფლება. რაც მთავარია, ამ გარიგების მართებულობა შემდეგ ნბა-მაც უნდა ცნოს.

თუმც ლეიტნერი და დევისი უკვე სამომავლო გეგმებს აწყობენ — მათ გადაწყვეტილი აქვთ პრეზიდენტ ჯერი ვესტისა და მწვრთნელ მაიკ ფრატელოს გუნდში დატოვება. ეგ კი არა, ვესტთან სამუდამო კონტრაქტის გაფორმებასაც აპირებენ. მაგრამ თვითონ ვესტი ასე შორს არ იყურება და გრძლევადიან კონტრაქტზე უარს ამბობს.

შეიძლება, თვითონ ლეიტნერმა საკალათბურთო კარიერაც გააგრძელოს, რომელიც შარშან მაიამიში დაასრულა. სულ ნბა-ში გატარებული 13 წელიწადში 36 წლის მძიმე ფორვარდს მაიამის გარდა მინეზოტაში, ატლანტაში, დეტროიტსა და ვაშინგტონში უთამაშია, ახლა კი დიდი შანსია, გრიზლადაც“ იქცეს.

**კახა ლომაძვილი**

## დუდუ დადიანის მემორიალი

# ვერის ბაღი: ბურუნდი და ბურუსი

3 ოქტომბერი. ვერის ბაღი

**თსუ 92:53 სსუ**

25:7 13:22 24:12 30:12

**თსუ:** არწივიძე (3), ბ. ბერიშვილი (14), ფანჩულიძე (6), ლეჟავა (16), ვეფხვაძე, შანიძე (24), მათიაშვილი (11), სანიკიძე (2), იმნაძე (10), მ. ბერიშვილი (3), ტყეშელაშვილი (3)
**სსუ:** გასიტაშვილი, ჯიქია, პატარაია (4), აბულაძე (10), ურიდია, ჩლაიძე (3), ფაცაცია (8), ცერცვაძე (11), ბარბაქაძე (17)
**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**აზოტი 112:79 მაკაბი**

28:27 34:18 24:25 26:9

**აზოტი:** გამყრელიძე (10), ბოისა (7), ბეჟანიშვილი (7), ტულუში (21), დიდია (11), გოგობერიშვილი (8), მარკოიშვილი (18), უგრეხელიძე (7), ჭოჭუა (8), მინაშვილი (11), ტუჯანი (2), ცეკვავა
**მაკაბი:** დოლიძე (6), წოწელია (13), კორკოტაძე (8), ს. შერმადინი (11), გ. შერმადინი (32), ვაშაკიძე (9), ენუქიძე
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**ავიამშენი 70:60 დინამო**

19:16 17:19 19:21 15:4

**ავიამშენი:** დ. ბერიშვილი (9), ბაბიაშვილი (20), ხოშტარია (15), ნიკოლაძე (2), ი. ბერიშვილი (9), მუშკუდიანი (1), ნინიაშვილი (6), კეიდია (6), როდუმტა (2), სუხიშვილი
**დინამო:** გულისაბედაშვილი (12), ბადრიძე (2), ლაფანაშვილი (12), კოლუაშვილი (6), ბექაური (8), მურჯიკნელი (15), ათანელაშვილი (5), ნოზაძე
**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა
**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**ხსოვნის** ტურნირია და ჩვეულებრივზე მეტი მონდომებით რომ ეგების ორგანიზება, სასწავლი არავისთვისაა. კარგი ბატონო, პირველ დღეს ტაბლო არ იყო გამართული და ეს შემთხვევითობას დავაბრალოთ, მაგრამ გუშინ ვერის ბაღის დარბაზში ისეთი ვითარება შეიქმნა, კალათბურთის თამაში რომ არაფრით შეიძლებოდა.

მატჩების ბოლოს სამსაჯო მაგიდასთან თქვეს, ბურუნდიში არ იქნება ისეთი პირობები, აქ რომ არისო. ტაბლო მუშაობდა, მაგრამ მხოლოდ ქულებს ითვლიდა, წამზომი კი თავისას უბერავდა. ამ ხარვეზის გამოსწორებას დიქტორი ცდილობდა, რომელიც მეოთხედების ბოლოსკენ ხშირ-ხშირად ახსენებდა მოთამაშეებს სირენამდე დარჩენილ დროს. თუმც სანამ გუშინდელი „ავიამშენი“ — „დინამოს“ მატჩი დაიწყებოდა, ყველასთვის კარგად ნაცნობი ზაზა მაჩალაძე მიკროფონთან მივიდა და გააფუჭა. ზაზამ წინა მატჩი იმსაჯა და სახლში ვერ მიდიოდა, რადგან მის ავტომანქანას ვილაცამ უხერხულად მიუყენა თავისი. ჰოდა, მაჩალაძეს სურდა, ავტომანქანის პატრონი მოეძებნა, მაგრამ არ დასცალდა, გამოცხადებისას მიკროფონს სადენი გაუწყდა.

ასე დაიკარგა ტურნირის ჯერჯერობით ყველაზე საუკეთესო მატჩი დროში — მაყურებელმა არ იცოდა, როდის რომელი წუთი მიმდინარეობდა, არადა, შეხვედრა იყო, ქულა-ქულაში მიდიოდა.

ორგანიზაციული სხვა ლაფსუსებიც იყო, თუნდაც ის „ბურუსი“, მოედანზე რომ სუფევდა. გუშინ, მოგეხსენებათ, წვიმიანი დღე იყო და ვერის ბაღის აქილევსის ქუსლი პროჟექტორებიც საცოდავად ბჟუტავდნენ და მოედანს რომ სჭირდება, იმის მეხუთედითაც ვერ ანათებდნენ.

ერთი სიტყვით, გუშინ მაცქერალმოთამაშე თანაბრად გაიტანჯა, თანაც სამიდან ორი მატჩი იყო, ცალი თვალით თუ შეეხედებოდა.

თსუ — სსუ-სა და „მაკაბი“ — „აზოტის“ დაპირისპირება რომ თვალსასეირო სანახავი არ გამოვიდოდა, მაყურებელმა წინდაწინ იცოდა. საბოლოოდ ორივე ფავორიტმა იოლად იმარჯვა, თუმც „მაკაბის“ საპირვემეოთხედო მოწადინება არ უნდა დავუკარგოთ, განსაკუთრებით კი გიორგი შერმადინის ფარქვეშა ჩაუქობა.

შერმადინი იყო ერთადერთი მოთამაშე, რომლის წინაალმდეგაც რუსთაველებს გაუჭირდათ. მეტიც: შერმადინი „აზოტის“ მაღლებმა ვერ შეაჩერეს, თუმც დანარჩენ სათამაშო კომპონენტებში ქვემოქართლელებს იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, „მაკაბი“ მაინც იოლად გაანადგურეს.

გუშინ საქმეში ვნახეთ გასულ სეზონში დადიანს თასის მომგები „ავიამშენი“. ლევან მოსეშვილის გუნდი საკმაოდ ძლიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ გუშინ ავიატორები „დინამოს“ ბეწვზე გადაურჩნენ.

ზაზა ცაგარეიშვილის ახალგაზრდული გუნდი მთელი ჯიგრით და მოწადინებით თამაშობდა. დინამოელები, ძირითადად, ზონურად იცავდნენ თავს და მეტოქის შეტევაში წაფორხილებას უსწრაფეს კონტრშეტევას მიაყოლებდნენ ხოლმე. მათ არც შორიდან გამრუდებიათ მიზანი და „ავიამშენი“ ბოლო მეოთხედამდე გვარიანად ანერვიულეს.

მოსეშვილმა მთელი თავისი რეზერვი შეალია ფარის დაპყრობას, მაგრამ ვერც ზვიად ბაბიშვილმა გაილაღა „დინამოს“ სამწამიანში და ვერც „ავიამშენის“ დანარჩენმა მაღლებმა. არადა, დავით მუშკუდიანი, პლასიდე როდუმტა, ლადო სუხიშვილი, თორნიკე ნინიაშვილი არ´არიან ურიგო მეფარეები, მაგრამ დინამოელთა მაღლები საკუთარ თავს ჯობნიდნენ და „ავიატორთა“ საჰაერო იერიშებს წარმატებით იგერიებდნენ.

უკანა ხაზში კი „დინამოს“ არ უჭირდა და, ალბათ, სწორედ ამის გამო იყო, რომ „ავიამშენმა“ ხელმოსაჭიდი უპირატესობის მოპოვება ვერ მოახერხა. მესამე მეოთხედში „დინამო“ სულაც 48:42 დაწინაურდა და გადამწყვეტი მეოთხედის წინაც ქულას იგებდა.

ცაგარეიშვილის გუნდის წარმატების საწინდარი, ზემოთაც ვთქვით, მოქნილი უკანა ხაზი იყო. ზურაბ ბადრიძე, ირაკლი გულისაბედაშვილი, ლექსო ლაფანაშვილი და მათი დამხმარენი უსხარტესი მოძრაობებით იმხელა გასაქანს იქმნიდნენ, რომ ქულებს იოლად აგროვებდნენ.

ამ დროს კი „ავიამშენს“ მოედანზე მხოლოდ ორი უკანახაზელი ჰყავდა — ირაკლი ბერიშვილი და მისი მოსახელე ხოშტარია. ფრთის პოზიციაზე ირაკლი კეიდია ირჯებოდა, რომელიც 2 მეტრს გვარიანადაა აცილებული.

ბოლო მეოთხედში მოსეშვილმა კეიდია მასზე ბარე 20 სანტიმეტრით დაბალი ნიკოლაძით შეცვალა, ვინც „ავიამშენის“ უკანა ხაზი გააძლიერა და დინამოელი დაბლების ნავარდიც აქ დასრულდა.



მოსეშვილის გუნდმა ისეთი დაცვა დააყენა, რომ ბოლო ათწუთეულში მხოლოდ 4 ქულა მიიღო, ისიც ტანმაღალ რევაზ ათანელაშვილისგან. დინამოელი უკანახაზელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ერთი სამქულიანიც ვერ მოარგეს ავიატორთა კალათს. 60:60 იყო სირენამდე 4 წუთით ადრე და გამართული თამაშის წყალობით დარჩენილი დრო „ავიამშენმა“ 10:0 მოიგო.

დღეს ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურია და ერთი ფინალისტის დასახელება თამამად შეგვიძლია — „ავიამშენი“ იოლად მოუგებს დაუძლურებულ სტუ-ს და ტიტულის დასაცავად მოემზადება. აქეთა ჯგუფიდან კი ფინალისტი „აზოტი“ — თსუ-ს ჯახმა უნდა გამოავლინოს.

**ირაკლი პერტაია**

# ბურთი, ღვინო და ყიჟინა ცაში

ეროვნული ბიბლიოთეკა




**მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია საჰაერო ბურთების აღლუმი ანუ ფიესტები, როგორც მათ ჰაერნაოსნები უწოდებენ. ამგვარ ფიესტებში ხშირად რამდენიმე ასეული საჰაერო ბურთი მონაწილეობს, რომლებიც ცას ნაირფერად ქარგავენ და ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენენ. ყველაზე გამორჩეული და გრანდიოზული ფიესტები ამერიკის ქალაქ ალბუ კერკში და საფრანგეთის მეცში ტარდება, სადაც ცა ერთდროულად ათასობით საჰაერო ბურთს მოუხატავს.**
**თუ არ გაავდრდა, დღეს ერთი პატარა ფიესტა ჩვენც გველის მცხეთაში, სადაც ჰაერნაოსნობის ეროვნული ფედერაცია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველ ღია ჩემპიონატს მასპინძლობს. ეს საერთაშორისო შეჯიბრება 8 ოქტომბერს დასრულდება, დღეს კი, 16 საათზე, მცხეთაში მისი საზეიმო გახსნა გაიმართება. აქ იქნება ფოლკლორული კონცერტი და საჰაერო ბურთების ფიესტაც, რომელშიც 14 ბურთი მიიღებს მონაწილეობას**

რაც გინდა, თქვით და პუტინის რუსეთმა ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული სკანდალით ამ ღვთაებრივ სასმელს დათვური სამსახურის ნაცვლად ისეთი რეკლამა გაუწია, ვერც ვიოცნებებდით. ეს სკანდალი, როგორც ვიუწყებოდით, ასახვას ჰპოვებს მცხეთაში გასამართ საჰაერო ბურთებით საქართველოს ღია ჩემპიონატში, რომელშიც არაბთა გაერთიანებული საემიროების, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, რუსეთის, უკრაინის, ჩეხეთისა და მასპინძელთა გუნდები გამოვლენ, მათ შემადგენლობაში კი თავ-თავიანთი ქვეყნებისა და მსოფლიოს ჩემპიონები თუ რეკორდსმენები იქნებიან. ჰოდა, მათთვის დაწესებულ ჯილდოთა შორის „ქართველ მეღვინეთა პრიზი“ — ღვინით სავსე 100-ლიტრიანი კასრიც იქნება.

ეტყობა, ამ ორიგინალური პრიზის გათამაშება შეჯიბრების მონაწილეთათვის თუ მაყურებლებისთვის ყველაზე სახალისო და თავშესაქცევი ამბავი იქნება, მისთვის ბრძოლა კი ქართულ ღვინოს სარეკლამოდ დიდად წაადგება. გამარჯვებული სად და ვისთან გამოცლის ამ ვეება კასრს, ვერ მოგახსენებთ, ის კი ცხადია, რომ შეჯიბრების მერე მცხეთაში კაი სუფრა გაიშლება, მხიარული ნადიმი გაიმართება და ბლომად ღვინოც დაილევა. ეს ყოველივე კი მეტად სიმბოლური იქნება, რადგან ღვინო და საჰაერო ბურთი მისი გამოჩენის დღიდან ერთმანეთს დაუკავშირდა.

ეს მოხდა საფრანგეთში 1783 წელს, როცა ძმებმა ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიებმა მსოფლიოში პირველი აეროსტატი დაამზადეს, ცხელი ორთქლით გაბერეს და 4 ივნისს ცაში აიჭრნენ. მაშინ 1000 მეტრის სიმაღლეზე მათ რამდენიმე ბოთლი ღვინოც აიტანეს, თავიანთი სასწაულის აღსანიშნავად იქ ჭიქები ერთმანეთს მიუჭახუნეს და ორი კილომეტრზე გაფრენის მერე, როცა ბურთი გაცივდა, დედამიწაზე მდორედ დაეშვნენ, სადაც მათი გმირობა ხალხმა ნამდვილი ქეიფითა და ღვინის სმით დააგვირგვინა.

აღტაცებული ხალხის საყოველთაო ჟივილი-ხივილი 1900 წელს გაიმართა, როცა პარიზელები და მათი სტუმრები თავადაც ფრენის მონაწილენი გახდნენ და ჰაერში ქეიფიც გამართეს.

მაშინ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე, რომლის პარალელურად მეორე ოლიმპიური თამაშები გაიმართა, ეჟენ მერსიემ თავისი მონსტრივით უშველებელი საჰაერო ბურთი წარმოადგინა, მისი გონდოლა თავისივე წარმოების შამპანურით გამოტენა და ცაში გამოსაჭყეპად ქალბატონები და ბატონები მიიწვია. მსურველნიც მრავლად გამოჩნდნენ და მალე პარიზის ცაში, 3 000 მეტრის სიმაღლეზე დაკიდებული გონდოლიდან ატყდა შეზარხოშებულთა ყიჟინა და შეძახილები.

მერსიეს გამჭრიახობამ უდიდესი რეკლამა გაუწია მის საჰაერო ბურთს, მისსავე შამპანურს და კაფე-რესტორანს. იმ კაფე-რესტორანში და საჰაერო ბურთით საფრენად პარიზის გამოფენაზე და მერეც ხალხს იწვევდა მშვენიერი რეკლამა, რომელზეც გამოსახული იყო თმებგაშლილი გამარჯვების ქალღმერთი და საჰაერო ბურთი წარწერით „შამპანური მერსიე“.

მერსიეს საჰაერო ბურთმა 104 დღის განმავლობაში 20 000 კაცს დაანახვა პარიზი ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან, სადაც შამპანურიც ისმებოდა.

და აქ როგორ არ გავიხსენო რუსეთის დედაქალაქში იქაურთა ბურთით ჩემი ფრენაც, როცა ერთი ეზოს ლოთებს ანგელოზები დავუფრთხეთ.

მაშინ მოსკოვის ცაში აღმა-დაღმა რომ დავფრინავდით, ჩვენი საჰაერო ხომალდის მეთაურმა საიდანღაც კორპუსებს შორის მწვანეში ჩაკარგული ერთი მაგიდა დალანდა, ბურთი უჩუმრად იქ მიაცურა და გამომთვრალ ოთხ რუსს ასე უხმაუროდ თავს წამოვადექით. ერთი ხის ძირში გაგორებული ფშვინავდა, მეორე სკამზე გადაყუდებულიყო, ხოლო მესამესა და მეოთხეს თავი მაგიდაზე ჩამოედოთ, მათ წინ კი გამოცლილი არყის ბოთლები ეყარა და ერთიც მჟავე კიტრი ეგდო. ხომალდის მეთაურმა მაგიდაზე რამდენიმე მონეტა ჩააგდო. მონეტების ხმაზე ერთი ლოთი გამოფხიზლდა, თვალებდაჭყეტილმა ქვემოდან ამოგვხედა და თვალებს არ დაუჯერა, მერე სხვებიც გინებით გაალვიძა და ჩვენი ბურთისკენ ამოახედა. ისინიც თვალებგაფართოებული და გულგახეთქილნი პირჯვარს იწერდნენ...

მცხეთაშიც რაღაც ამდაგვარი იქნება, ოღონდ ლოთების გარეშე — ღვინით სავსე კასრის მოძებნა, მასთან მაქსიმალურად მიახლოება და მარკერის მიზანში მოხვედრა, ამ საქმის გამარჯვებული კი იმ კასრს დაისაკუთრებს.

**ავთანდილ გურასაშვილი**



## მსოფლიოს ჩემპიონატი

### ტურინი. იტალია. 30 სექტემბერი – 8 ოქტომბერი

# გოგოა ხმალივით!

**ტურინში** მიმდინარე მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ორ სახეობაში გაირკვა გამარჯვებული: პრიზიორთა ვინაობა — კაცებმა დაშნით, ხოლო ქალებმა ხმლით ფარიკაობაში პირადი პირველობა დაასრულეს.

დაშნის ოსტატთა შეჯიბრში სამი ქართველიც გამოდიოდა, თუმცაღა ისინი ნაადრევად გამოეთიშნენ ასპარეზობას. ქართველების მარცხი არავის გაკვირვებია და სენსაციები, თურმე წინ იყო — მედლებისთვის ბრძოლას პლეი ოფის ადრეულ ეტაპებზევე გამოაკლდნენ უნგრელი, ფრანგი, იტალიელი, გერმანელი მუშკეტერები და ნახევარფინალში ესტონელი სვენ იარვე, პორტუგალიელი ჟოაკიმ ვიდეირა, კანადელი იგორ ტიხომიროვი და ჩინელი ვან ლი გავიდნენ. მერე პორტუგალიელმა ესტონელს მოუგო, ჩინელმა — კანადელს და გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი ვან ლიმ ერთი ჩხვლეთი აჯობა ვიდეირას და დიდი ჩინეთისთვის დაშნის წვერზე ოქროს მედალი წამოაგო.

რაც შეეხება ქალთა ხმალს, ამ სახეობაში შეჯიბრი ამერიკელთა სრული ტრიუმფით დასრულდა — ოთხი ნახევარფინალისტიდან სამი იანკი იყო, ამათგან ორნი ფინალშიც გავიდნენ და შინაურ ჭიდილში კი 16 წლის ვუნდერკინდმა რებეკა უორდმა შანსი არ დაუტოვა მერიელ ზაგუნისს.

დღეს ასპარეზობას რაპირისტი კაცები და დაშნით მოფარიკავე ქალები დაასრულებენ, ხოლო მერე გუნდური შეჯიბრი დაიწყება და კაცთა ხმალსა და დაშნაში ქართველებიც გაერევიან მსოფლიოს უძლიერეს ნაკრებთა მარაქაში.

| ხმალი. ქალები. პირადი |
|---|
| 1. რებეკა უორდი (აშშ) |
| 2. მერიელ ზაგუნისი (აშშ) |
| 3. სადა იაკობსონი (აშშ) |
| 3. ხი ლიმ კიმი (სამხრეთ კორეა) |

| დაშნა. კაცები. პირადი |
|---|
| 1. ვან ლი (ჩინეთი) |
| 2. ჟოაკიმ ვიდეირა (პორტუგალია) |
| 3. სვენ იარვე (ესტონეთი) |
| 3. იგორ ტიხომიროვი (კანადა) |


AFP ფოტომატიანე

ფრანგი ერვე ლე პემო ბრძოლის ველზე უმედლოდ დაეცა



# შვედები ბჭობენ, იანიცა დუმს

**ისეთი** პირი უჩანს, რომ მსოფლიოს უძლიერესი სამთო მოთხილამურე ქალი, ხორვატი იანიცა კოსტელიჩი დამდეგ სეზონს მუხლის ტრავმის გამო, ალბათ, მთლიანად გამოტოვებს. ყოველ შემთხვევაში, კოსტელიჩის უმთავრესი კონკურენტის, შვედი ანია პერსონის სამშობლოში სწორედ ამას ამტკიცებენ. კერძოდ, სტოკჰოლმური გაზეთი Dagens Nyheter მთის თხილამურების ხორვატი ექსპერტის ელენ კოლარის განცხადებაზე დაყრდნობით წერს, რომ კოსტელიჩი 2006-07 წლების სეზონში ვერც მსოფლიო თასის ეტაპებზე გამოვა და მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოტოვებს.

არადა, მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ შვედეთში, ქალაქ ორეს მიდამოებში გაიმართება და პერსონს კოსტელიჩის არყოფნაში მეტი ოქროს მოპოვების შანსი ექნება.

თავად ხორვატი მოთხილამურე ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. ვარაუდობენ, რომ თავისი სამომავლო გეგმების შესახებ იანიცა პარასკევს გააკეთებს განცხადებას.

# ჰერმინატორი და შეუძლებელი?

**ორიოდე** კვირაც და სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშება გაჩაღდება. „თეთრი ცირკის“ პირველი ეტაპი ავსტრიულ ზოლდენში გაიმართება, სწორედ იქ, სადაც ერთი წლის წინათ ლეგენდარულმა ავსტრიელმა ჰერმან მაიერმა ტრავმის მიუხედავად მოახერხა მორიგი გამარჯვების მოპოვება.

წელს „ჰერმინატორს“ არაფერი აწუხებს და მზადაა, იბრძოლოს კარიერაში მეხუთე მსოფლიო თასის მოსაგებად. არადა, დიდი ბროლის გლობუსი ხუთჯერ, აქამდე მხოლოდ ლუქსემბურგელ მარკო ჟირარდელის აქვს მოპოვებული და მაიერს ძალუძს ამ შედეგის გამეორება. თუმცა თავად, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურადაა განწყობილი. „ამის გაკეთება ძალიან ძნელია, ხოლო ჩემთვის, თითქმის შეუძლებელი — განაცხადა ახალზელანდიური წინასასეზონო შეკრებიდან დაბრუნებულმა „ჰერმინატორმა“ და დაამატა — ახალი სეზონისთვის მშვენივრად მოვემზადე, თუმც უკეთესადაც შეიძლებოდა. მსოფლიო თასის პირველ ეტაპამდე ორიოდე კვირა დარჩა და ეს დრო საკმარისია, რათა სასურველ ფორმაში შევიდე.“




# სალომე და ალექსანდრა

## დევიძე დოქტორ ჯეის გოგოს გაიცნობს

**ამ** დღეებში ამერიკული ქალაქ ტროის ჰარდზე ITF-ის ეგიდით 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი ტარდება და იქ ორი ჩვენებური ცდის ბედს — WTA-ს კლასიფიკაციის 293-ე და 599-ე ნომრები სოფო მელიქიშვილი და სალომე დევიძე.

მელიქიშვილი საკმაოდ წარმომადგენლობითი შეჯიბრის ძირითად ბადეშია, ხოლო დევიძე იქ მოხვედრას კვალიფიკაციის გავლით ცდილობს.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში სალომეს მეტოქე 21 წლისა და რეიტინგში 553-ე ადგილზეა მყოფი კოლუმბიელი პაოლა ზაბალა იყო და ქართველმა მას იოლად — 6:1 6:2 სძლია. მეორე წრეში დევიძეს გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგე შეხვდა ალექსანდრა სტივენსონის სახით. ეს სტივენსონი კალათბურთის ლეგენდის ჯულიუს ირვინგის უკანონო ქალიშვილია და ამ ოთხი წლის წინათ უპერსპექტიულეს მოთამაშედ მიიჩნეოდა — 2002 წელს მაშინ 21 წლის ალექსანდრამ უიმბლდონის ნახევარფინალს უწია და WTA-ს რეიტინგის პირველ ოცეულშიც დამკვიდრდა, მაგრამ მერე „დოქტორ ჯეის" გოგომ პროგრესი შეაჩერა, ავანსები ველარ გაამართლა და ახლა კლასიფიკაციის სადღაც მეხუთე ასეულში, 413-ე ადგილზე იმყოფება.

# ქართველებს შანსი არ აღელვებთ

**იმის** გამო, რომ ინდური მუმბაის ჰარდზე გამართული ტურნირი უამინდობის გამო კვირას კი არა, ორშაბათს დასრულდა, კაც პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ თავისი ახალი რეიტინგები გუშინღა გამოაქვეყნა.

სეზონის ბოლოა და განთესვის რეიტინგზე მეტ ინტერესს საჩემპიონო რბოლა იწვევს, რადგანაც სწორედ ამ კლასიფიკაციის მიხედვით უნდა გამოვლინდეს ის რვა ჩოგბურთელი, წლის დასკვნით შეჯიბრზე, შანხაიში გასამართ „მასტერსის თასზე" რომ ითამაშებს.

შანხაის საგზური კარგა ხანია ჯიბეში უდევს როჯერ ფედერერს და რაფაელ ნადალიც მშვიდად არის. აი, დარჩენილი ექვსი ადგილისთვის კი უახლოეს კვირებში ჩასატარებელ ტურნირებზე დიდი ბრძოლა გაჩაღდება, რადგანაც შანხაიში მოხვედრის თეორიულ შანსს, პრაქტიკულად, პირველი ოცეულის ყველა წევრი და წარმოიდგინეთ, რომ მათ უკან მდგომი ხალხიც კი ინარჩუნებს.

საშანხაიო ფაცი-ფუცი არ ეხებათ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელებს ირაკლი ლაბაძესა და ლადო ჩიხლაძეს, რომლებმაც ამ სეზონში მთავარი საქმე უკვე გააკეთეს და ჩვენი სადევისთასო ნაკრები ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აიყვანეს.

იმის გამო, რომ ბოლო პერიოდში სარეიტინგო ტურნირებზე არ უთამაშიათ, ლაბაძემ და ჩიხლაძემ კლასიფიკაციაში მცირედით დათმეს პოზიციები. ირაკლიმ განთესვის რეიტინგში ორი საფეხურით დაბლა დაიწია და ახლა 248 ქულით 167-ე ადგილზეა, ხოლო საჩემპიონო რბოლაში ერთი პოზიცია დაკარგა და 33 ქულით 112-ეზე ჩაინაცვლა. ლადოს რაც შეეხება, ის მხოლოდ განთესვის რეიტინგში ფიგურირებს და 56 ქულით წინა კლასიფიკაციასთან შედარებით 11 საფეხურით დაბლა, 486-ე ადგილზეა.

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7120 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4625 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 3315 |
| 4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2900 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2590 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2585 |
| 7. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2240 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2225 |
| 9. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 2111 |
| 10. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1865 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1850 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1830 |
| 13. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 1820 |
| 14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1700 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1675 |
| 16. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 1365 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1325 |
| 18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1315 |
| 19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1301 |
| 20. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 1280 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1324 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 825 |
| 3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 436 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 434 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 418 |
| 6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 396 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 386 |
| 8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 370 |
| 9. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 369 |
| 10. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 344 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 318 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 285 |
| 13. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 280 |
| 14. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი) | 268 |
| 15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 265 |
| 16. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 263 |
| 17. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 250 |
| 18. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 244 |
| 19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 215 |
| 20. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 214 |

# მეცში ფავორიტებს ეცნენ

**კაცები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 765 000 $

**პირველი წრე**

შტეფან კუბეკი (ავსტრია) — სტეფანო გალვანი (იტალია) 6:3 4:6 7:5; ალექსანდერ ვასკე (გერმანია) — ტესუია ჩაენი (იაპონია) 6:4 6:4; ტაკაო სუძუკი (იაპონია) — სიმონ გრიოლი (გერმანია) 6:2 6:2; დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 7:6 6:3; რაინერ შუტლერი (გერმანია) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 6:2 6:1; კენეტ კარლსენი (დანია) — გოიუჩი მოტომურა (იაპონია) 6:7 6:3 6:2; იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2 6:3; ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:7 7:6 7:6

**მეორე წრე**

ტიმ ჰენმანი (10, ბრიტანეთი) — ფრენკ დანსევიჩი (კანადა) 6:2 6:1; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) — რობი ჯინეპრი (7, აშშ) 6:2 6:2

**კაცები**
მეცი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 380 000 $

**პირველი წრე**

მარკ გიკუელი (საფრანგეთი) — დავიდ ფერერი (1, ესპანეთი) 6:3 5:7 6:4; გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 7:6 4:6 6:0; ფლორენ სერა (საფრანგეთი) — რობინ სოდერლინგი (8, შვედეთი) 5:7 7:6 6:2; იურგენ მელცერი (ავსტრია) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 7:5 6:2; სირილ სოლნიე (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (6, სლოვაკეთი) 4:6 6:3 7:5; დანიელე ბრაჩიალი (იტალია) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) 4:6 6:3 7:5; ნოვაკ ჯოკოვიჩი (3, სერბეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:2 6:3; მარდი ფიში (აშშ) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:2

**ქალები**
შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 650 000 $

**პირველი წრე**

მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2 6:7 6:1; კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:1 6:4; პატი შნიდერი (5, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:2 6:2

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**პირველი წრე**

მარიონ ბარტოლი (1, საფრანგეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2 3:6 6:4; ვერა დუშევინა (რუსეთი) — შიკა უბეროი ინდოეთი) 7:6 6:3; აკიკო მორიგამი (იაპონია) — მარია კირილენკო (3, რუსეთი) 1:6 6:2 7:6; ლილია ოსტერლოჰი (აშშ) — მეგან შონესი (8, აშშ) 6:2 3:6 6:3; ჯამეა ჯექსონი (აშშ) — გიზელა დულკო (6, არგენტინა) 6:4 6:1; მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) — სოფია არვიდსონი (5, შვედეთი) 7:6 7:6

**ქალები**
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

**პირველი წრე**

მარია ელენა კამერინი (1, იტალია) — ჟინგ რენი (ჩინეთი) 6:1 5:7 7:5; დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) — გალინა ვოსკობოევა (7, რუსეთი) 5:7 6:4 7:6; ანასტასია როდიონოვა (8, რუსეთი) — ოლგა გოვორცოვა (ბელორუსი) 1:6 6:4 6:1; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ანასტასია იაკიმოვა (5, ბელორუსი) 6:3 7:6

**მორიგი** დატვირთული კვირა გახურდა საჩოგბურთო სამყაროში. ტურნირები კვლავაც ბლომადაა, მაგრამ უმთავრესი ინტერესი ტოკიოსა და შტუტგარტისკენ იქნება მიპყრობილი — ამ ორ ქალაქში ხომ პირველი ნომრები, როჯერ ფედერერი და ამელი მორესმო აპირებენ კორტზე გასვლას.

თუმც ფედერერს იაპონის დედაქალაქში თამაში ალბათ მაინც შემთხვევითობამ აიძულა — საქმე იმაშია, რომ ორიოდე დღის წინ "მხიარულ როჯერს" ტოკიოში გამართულ Baccar Awards-ის დაჯილდოებაზე მოუწია ყოფნა, სადაც წლის სპორტსმენად დაასახელეს. ხოდა, შვეიცარიელმაც იფიქრა, ბარემ აქვე ვითამაშებო, მით უმეტეს რომ ტოკიოში საპრიზო ფონდიც სოლიდურია და შემადგენლობაც საკმაოდ ძლიერი. თან ალპელ გენიოსს სადღაც თვე-ნახევარში ტოკიოსთან ახლოს, შანხაიში წლის შემაჯამებელ ტურნირზე მაინც მოუწევს ჩასვლა და ახლა აზიურ პირობებს ცოტა შეეგუება.

თუმც ფედერერს ჯერ არ მოუწია კორტზე გასვლა და საქმის გარკვევაც სხვებმა დაიწყეს. ეგ კი არა და უკვე პირველი სენსაციაც გამოაცხვეს, როცა არგენტინელმა დელ პოტრომ ტურნირის მეშვიდე ნომერი რობი ჯინეპრი დაიფრინა.

ისე სენსაციებზე თუ მიდგა საქმე, მაშინ მეცში მიმდინარე მოვლენები უნდა ვახსენოთ. მასპინძლებმა დაიწყეს და ლამის განკითხვის დღე მოუწყვეს ტურნირის წინ ფავორიტად შერაცხულ ჩოგნის მქნეველთ — ჯერ ფლორენ სერამ მერვე ნომერ რობინ სოდერლინგს ჩაალაგებინა ჩემოდნები, მერე კი სირილ სოლნიემ მეექვსე ნომერ დომინიკ ჰრბატის გამოუწერა სახლის ბილეთი. თუმც ყველაზე მეტად თავი მარკ გიკუელმა გამოიდო და ტურნირი უთავოდ დატოვა — პირველი ნომერი დავიდ ფერერი გააკრა კორტს.

ქალთა ტურნირებიდან კი ყველაზე მეტად ჯერჯერობით ტოკიოს ტურნირი გახურდა და იქაც მეცის არ იყოს, განთესილებს ძნელი დღე ჰქონდათ — აქედან უკვე ოთხი ფავორიტი გაუდგა სახლის გზას. ამათგან კი ყველაზე მოულოდნელი აკიკო მორიგამის მიერ მარია კირილენკოს ძირს დაცემა იყო.

შტუტგარტში კი კორტზე გასვლა ჯერჯერობით მხოლოდ პატი შნიდერმა მოასწრო და წარმატებითაც ჩააბარა პირველი ტესტი, გადაუარა რა ჩანდა რუბინს.


ტიმ ჰენმანმა ტოკიოში უკვე მესამე წრეს უწია

**ბაჩა ლომაშვილი**

## ძალოსნობა

**მსოფლიოს ჩემპიონატი** სანტო დომინგო
დომინიკის რესპუბლიკა. 30 სექტემბერი – 7 ოქტომბერი

# ოქროს ციულელიანი

**დომინიკის** რესპუბლიკის მთავარქალაქ სანტა დომინგოში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველების გარეშე გრძელდება. ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა შორეულ კარიბეთში ოთხი შეგირდი იახლა. მათგან ფიცარნაგზე ერთი უკვე გავიდა. ზვიად სამუკაშვილის წონაში — 56 კილოგრამში მედლები რვადღიანი ტურნირის პირველსავე დღეს გათამაშდა და ქართველი სამეულს მიღმა დარჩა.

ალბერტ კუზილოვი, თემურ გოგია (ორივე 94კგ) და გია მაჭავარიანი შტანგას ბოლო ორ დღეს — 6-7 ოქტომბერს ასწევენ. იქამდე კი უქართველებო წონებში ვლინდებიან ჩემპიონ-პრიზიორები.

ყველაზე მეტად ჯერჯერობით ჩინელი ძალოსნები ყოჩაღობენ. 62 კილოგრამში ჩემპიონი კიუ ლე გახდა. ატაცისა და აკვრის ჯამში 308 კილოგრამი დააგროვა და უახლოეს მდევარს, კოლუმბიელ ოსკარ ფიგეროას, 9 კილოგრამით აჯობა. ბრინჯაო მეორე კოლუმბიელმა დიეგო სალასარმა ირგუნა 295 კილოგრამის აწევით.

69 კილოგრამში ჩინელ ში ჩიუნს ოქრო ფრანგმა დაბაიამ წაჰგვარა. ამ შავკანიანმა ძალოსანმა ორჭიდის ჯამში 332 კილოგრამი დააგროვა, ჩიუნმა — 327, ხოლო ბულგარელმა დემირევმა — 318.

ქალებში აზიელთა უპირატესობა ბევრად შთამბეჭდავი იყო. უმსუბუქეს წონაში — 48 კილოგრამში იან ლიანმა ჩემპიონობა სამმაგი მსოფლიოს რეკორდით დაამშვენა — 98-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა, 119-იანი აჰკრა და ჯამში 217 დააგროვა. ამასთან, მეორე-მესამე ადგილოსნებს, ტაილანდელ ვირატავორნ არეესა და იაპონელ ჰირომი მიაკეს, 29 კილოგრამით გაუსწრო.

53-კილოგრამიანმა ქალბატონმა ციუმ მხოლოდ ორი მსოფლიოს რეკორდი იკმარა — აკვრასა (128კგ) და ორი მოძრაობის ჯამში (226კგ). ვერცხლი ინდონეზიელმა რუმბევასმა მოიპოვა — 210კგ, ბრინჯაო — ტაილანდელმა ჩალიპხაიმ (207კგ).

დღეს ფიცარნაგზე 58-კილოგრამიანი ქალები და 75-კილოგრამიანი კაცები გავლენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**კაცები**

62 კგ

| | |
|---|---|
| 1 ლე (ჩინეთი) | 308 კგ (140+168) |
| 2 ფიგეროა (კოლუმბია) | 297კგ (137+160) |
| 3 სალასარი (კოლუმბია) | 295 კგ (131+164) |

69 კგ

| | |
|---|---|
| 1 დაბაია (საფრანგეთი) | 332კგ (146+186) |
| 2 ჩიუნი (ჩინეთი) | 327კგ (150+177) |
| 3 დემირევი (ბულგარეთი) | 318კგ (143+175) |

**ქალები**

48 კგ

| | |
|---|---|
| 1 ლიანი (ჩინეთი) | 217კგ (98+119) |
| 2 არეე (ტაილანდი) | 188კგ (85+103) |
| 3 მიაკე (იაპონია) | 188კგ (80+108) |

53 კგ

| | |
|---|---|
| 1 ციუ (ჩინეთი) | 226კგ (98+128) |
| 2 რუმბევასი (ინდონეზია) | 210კგ (95+115) |
| 3 ჩალიპხაი (ტაილანდი) | 207 კგ (92+115) |

## ხელბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები
ჯგუფური ეტაპი

# დათვებმა მეტალურგები დატორეს

**დაიწყო** ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის მე-14 გათამაშება. 32 გუნდიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა სკოპიეს „მეტალურგი", რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ნაკრების წევრი რევაზ ჭანტურია თამაშობს.

მაკედონიის ჩემპიონმა, რომელიც პირველად მონაწილეობს ამ ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში, წარმატებით დაძლია შესარჩევი ზღუდე და ძირითად, ჯგუფურ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოიპოვა, მაგრამ დასაწყისი რეზოს გუნდისთვის მეტად უხეირო გამოვიდა.

მეტალურგებს სასტარტო მატჩში მეტოქედ რუსეთის „ჩეხოვსკიე მედვედი" ჰყავდათ. მოსკოვის ოლქის ჩეხოვში „დათვები" თავიდანვე მიეძალნენ სტუმრებს და უკვე პირველ ტაიმში გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი — 22:9. შესვენების შემდეგ თამაში ინერციით მიმდინარეობდა და მასპინძლებმა მცირედ გაზარდეს კიდეც უპირატესობა — 40:25.

ეს პირველი ტურის 16 დუელიდან ყველაზე დიდსხვაობიანი მატჩია. მაკედონიელთა ცაცია ფრთა ჭანტურიამ მოედანი უგოლოდ დატოვა, შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე კი მისი ჩერნოგორიელი თანაგუნდელი ბორკო ჯორჯევიჩი იყო.

ლიგის მოქმედმა ჩემპიონმა „სიუდად რეალმა" უპრობლემო გამარჯვება მოიპოვა უნგრეთის „პიკ სეგედთან" სტუმრად — 25:20.

ცნობისთვის, ლიგის 2006-07 წლების გათამაშებაში ესპანეთი ოთხი გუნდითაა წარმოდგენილი და ოთხივემ ტურნირი მოგებით დაიწყო.

**გია ახალაძე**



A ჯგუფი

**პორტლენდ სან ანტონიო** (ესპანეთი) 34:27 **ვესპრემი** (უნგრეთი)

**პოვარსკა ბისტრიცა** (სლოვაკეთი) 29:31 **ბოსნა** (ბოსნია)

B ჯგუფი

**პიკ სეგედი** (უნგრეთი) 20:25 **სიუდად რეალი** (ესპანეთი)

**კადეტენ შაფჰაუზენი** (შვეიცარია) 30:20 **მეშკოვო** (ბელარუსი)

C ჯგუფი

**შამბერი** (საფრანგეთი) 26:32 **კოლდინგი** (დანია)

**ვისლა** (პოლონეთი) 31:19 **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)

D ჯგუფი

**ჩეხოვსკიე მედვედი** (რუსეთი) 40:25 **მეტალურგი** (მაკედონია)

**ფლენსბურგი** (გერმანია) 35:28 **ზაგრები** (ხორვატია)

E ჯგუფი

**სვენდბორგი** (დანია) 28:32 **კილი** (გერმანია)

**ბანიკ კარვინა** (ჩეხეთი) 31:34 **კონსტანცა** (რუმინეთი)

F ჯგუფი

**სანდფიორდი** (ნორვეგია) 26:37 **პივოვარნა ლაშკო** (სლოვენია)

**ფრამ რეიკიავიკი** (ისლანდია) 26:38 **გუმერსბახი** (გერმანია)

G ჯგუფი

**გოლდ კლუბ კოზინა** (სლოვენია) 26:29 **ბარსელონა** (ესპანეთი)

**ჰამარბი** (შვედეთი) 37:23 **პანელინიოსი** (საბერძნეთი)

H ჯგუფი

**A1 ბრეგენცი** (ავსტრია) 17:29 **მონპელიე** (საფრანგეთი)

**პორტოვიკ იუჟნი** (უკრაინა) 28:33 **ვალიადოლიდი** (ესპანეთი)

## რაგბი

# მაგარი დანაკლისი

## ჯიმშელაძე და ზერაქაშვილი არა, აქვსენტი საფიქრალია

**ამ უქმეებზე** საქართველოს ნაკრები საფრანგეთში, დაბა მასში დაბინავდა, სადაც ერთკვირიან შეკრებას გაივლის. შეგახსენებთ, რომ ჩვენები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ჯგუფურ ეტაპს იწყებენ. სამგუნდა ჯგუფში ქართველი „ლელოები" პირველ მატჩს 7 ოქტომბერს ბუქარესტში რუმინეთთან გამართავენ, 21 ოქტომბერს კი თბილისში ესპანეთს უმასპინძლებენ. ჯგუფური ეტაპი ერთწრიანია და პირველადგილოსანი პირდაპირ გადის მსოფლიოს თასზე, მეორადგილოსანს კი რუსეთ-პორტუგალიას შორის უკეთესთან მოუწევს შინ და გარეთ პრინციპით სამუნდიალო საგზურის მოპოვება. რუსეთ-პორტუგალიას შორის უკეთესს რომ ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ მათ ჯგუფში მესამე ნაკრები და უეჭველი ფავორიტი იტალიაა — რაღაც ძალიან ალოგიკური უნდა მოხდეს, რომ იტალიამ ჯგუფში ვერ იპირველოს.

ერთიც, თუ საქართველომ მეორე ადგილი დაიკავა, რაც ყველაზე რეალურია და მერე ვერც რუსეთ-პორტუგალიას შორის უკეთესს აჯობა, მაშინ რჩება კიდევ ერთი შანსი, რასაც რაგბიში რეპეჟაში ჰქვია, ხოლო გასაგებ ენაზე სანუგეშო ეტაპი, ანუ აქედანაც ვერ გასული მერე ოკეანეთის მაჩანჩალასთან, ალბათ ისევ ტონგასთან გამართავს ორრაუნდიან ბრძოლას. აქ წაგებული კი მსოფლიოს თასზე კი არა, პირდაპირ სახლში მიდის.

ეს, რაც შეეხება შესარჩევი ტურნირის ფორმატს. სხვაფრივ კი, საქართველოს ნაკრები არც მთლად უპრობლემოდაა. ჩვენების სამწვრთნელო შტაბმა საშესარჩევო 35-კაცა გაფართოებული რაზმი კი გამოიძახა, მაგრამ უქმეებზე ამ შემადგენლობას ორი მაგარი კაცი გამოაკლდა. საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩებში დაშავდნენ „არასის" მე-10 ნომერი და ჩვენების სული და გული პალიკო ჯიმშელიძე და „კლერმონის" მუხლმაგარი ბურჯი დავით ზერაქაშვილი. გადაწყვეტილი ამბავია, რომ ისინი რუმინეთთან ვერ ითამაშებენ. ჩვენების სამწვრთნელო შტაბს კიდევ ერთი თავსატეხი აქვს. ფრანგული „კასტრის" ჰუკერსა და ქართველების შერკინების „ტვინს" აქვსენტი გიორგაძესაც ტრავმა აქვს და მისი ამბავი ხვალ-ზეგ გახდება ცნობილი. ერთი სიტყვით, ყველაზე გადამწყვეტი მატჩის წინ საქართველოს ნაკრებს საკვანძო და თითქმის შეუცვლელი რაზმელები გამოაკლდნენ, საფრანგეთში კი ეს შემადგენლობა შეიკრიბა:

*ოთარ ბარკალაია (ანდორა, საფრანგეთი), თემურ სოხაძე (ბასტია, საფრანგეთი), გიორგი ელიზბარაშვილი (კრასნიარი, რუსეთი), ირაკლი მაჩხანელი (ბეზია, საფრანგეთი), ბესიკ ხამაშურიძე (ენისეი, რუსეთი), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი, საფრანგეთი), გიორგი შკინინი (ბლუა, საფრანგეთი), რევაზ გიგაური (მონლიუსონი, საფრანგეთი), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი, საფრანგეთი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო, საფრანგეთი), დავით კაჭარავა (ყოჩები, საქართველო), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი, საფრანგეთი), ბიძინა სამხარაძე (კონსტანცა, რუმინეთი), გიორგი კაჭარავა (ვანი, საფრანგეთი), მერაბ კვირიკაშვილი (ფიზჟაკი, საფრანგეთი), გოდერძი შველიძე (კლერმონი, საფრანგეთი), აქვსენტი გიორგიძე (კასტრი, საფრანგეთი), ავთო კოპალიანი (მონტობანი, საფრანგეთი), დავით ხინჩაგაშვილი (ბურგუენი, საფრანგეთი), დავით გასვიანი (ეგზი, საფრანგეთი), მამუკა მაგრაქველიძე (უგუნდო), ილია ზედგინიძე (ოში, საფრანგეთი), მამუკა გორგოძე (მონპელიე, საფრანგეთი), ლევან დათუნაშვილი (მონლიუსონი, საფრანგეთი), ვიქტორ დიდებულიძე (მასი, საფრანგეთი), ზურაბ მჭედლიშვილი (დომონი, საფრანგეთი), რატი ურუშაძე (ენისეი, რუსეთი), გია ლაბაძე (ტულონი, საფრანგეთი), ბესო უდესიანი (ვილფრანში, საფრანგეთი), ილია მაისურაძე (ნანტი, საფრანგეთი), ზვიად მაისურაძე (კრასნიარი, რუსეთი), გიორგი ჩხაიძე (მასი, საფრანგეთი)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შორია სანტა ბარბარა



AFP მოსკოვიდან

ნეტარი ვასილის ტაძრის წინ ჩამწკრივებულა „ლოს ანჯელეს კლიპერსის" კალათბურთელთა გუნდი, რომელიც თავის კემპს სწორედ მოსკოვში მართავს: აქედან მათ შინაურ სანტა-ბარბარამდე ბარე 6 ათასი მილია.

# საპატარძლო მარათონი



AFP კოშიცედან

სლოვაკეთში მშვიდობის მარათონი ჩატარდა, რიგით 83-ე. კოშიცეს ქუჩებში საპატარძლო კაბებში გამოწყობილი გოგოები გამოცვივდნენ და თავიანთი გასარბენი არე გაირბინეს.



AFP კლერმონ-ფერანიდან

# იზაბელ და ოლივიე

ფრანგულ კლერმონ-ფერანში ფიგურული სრიალის „სენიორ მასტერსი" მიმდინარეობს. თავისუფალი სტილის კლასში გამარჯვებული კი ეს გრაციოზული ფრანგულივე წყვილი შეიქნა: იზაბელ დელობელი და ოლივიე შონფელდერი.



AFP ტურინიდან

## სურვილი თქვი

მუშკეტერობა გინდოდეს და ინვალიდის სავარძელი ნამდვილად ვერ შეგიშლის ხელს. ტურინში მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს, ერთმანეთს კი ჩინელი იუ რუი (მარცხნივ) და იტალიელი ალბერტო პელეგრინი ებრძვიან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge